ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 15 ნოემბერი, 2017 №271 (7506) ფასი: 50 თეთრი

ევაკუაცია თბილისის აეროპორტში



გვ.4

14 ნოემბრიდან უცხოეთში დაკარგული ქართველები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

გახდება თუ არა გახარია მეორე მერაბიშვილი

გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ეს არჩევნები ბევრ რამეს შეცვლის“

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „კვირიკაშვილი კალაძეში კონკურენტს ხედავს“

გია ხუხაშვილი: „პრემიერის პოზიციები სამთავრობო ცვლილებებმა შეასუსტა“

გვ.2

„კვირიკაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად გადაყვანაში გარკვეული ლოგიკა არის“

„ოცნებას“ მესაფლავეები ირჩევენ, ნაციონალებს — მკვდარი სულები“

გვ.4

სამართალი გვ.7

ქეთევან წამებულის ქუჩაზე სახლისა და გზის გამყოფი კედელი ჩაინგრა

გიორგი მღებრიშვილი პოლიციელებს მიმართავს

თბილისში მინიმარკეტი გაქურდეს

ეკონომიკა გვ.6

2018 წლიდან ტექდათვალიერებას, შესაძლოა, მსუბუქი ავტომობილები არ დაექვემდებაროს

ეკა ლალიაშვილი: „თბილისის ცენტრში პარკირება ფასიანი უნდა გახდეს“

ირაკლი იაშვილი: „არასოდეს დაიჯეროთ, რომ ინვესტიციის შემოსვლა რომელიმე ჩინოვნიკის დამსახურებაა“

ISSN 1987-9385

3 თემურ თორდინავამ თანამდებობა დატოვა

5 „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატორები საქართველოს ეწვივნენ

4 ნინო ჯანგირაშვილი: „საზოგადოებრივ მაუწყებელს სურს, ჩვეულებრივი კომერციული ტელევიზია გახდეს“

5 რატომ მივიდა ამერიკის ელჩის მოადგილე სოხუმის უნივერსიტეტის ახალ რექტორთან

გია ხუხაშვილი: „პრემიერის პოზიციები სამთავრობო ცვლილებებმა შეასუსტა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო გია, არა მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის წევრების ცვლილება ვიხილეთ, არამედ სისტემის რეორგანიზაციაზეა საუბარი. რით არის ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი, რა გახდა მოტივატორი?

– ზოგადად ფაქტი შემიძლია დადებით მოვლენად შევაფასო, რადგან მმართველობითი სისტემა სერიოზულ კრიზისშია. აუცილებლობა იყო ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. ეფექტურობა, მობილურობა მოქმედი სისტემისთვის არ არის დამახასიათებელი. შესაბამისად, მმართველობის სისტემის გამარტივება, კომპონენტების შემცირება, არა მექანიკური, არამედ ლოგიკური შემცირება, ეფექტურობის თვალსაზრისით გარკვეულ შანსებს იძლევა. გაერთიანებაც გარკვეულწილად ლოგიკურად მოხდა და მე შენიშვნები არ მაქვს, გარდა ერთისა.

ჩემი შენიშვნა გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმებას ეხება. დღეს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში გარემოს პრობლემატიკა არის პრიორიტეტი. ჩვენთან გადადგმული ნაბიჯი კი თითქოს ამ ცივილიზებული სამყაროს ნაწილის მიღმა გვტოვებს. გარემოს დაცვის სფეროს ეკონომიკის სამინისტროსთან შეერთება ლოგიკური არ არის, რადგან გარემო და ეკონომიკა ბუნებრივი ანტაგონისტები არიან. ეს წინააღმდეგობა როგორ იქნება გადალახული, ბუნდოვანია.

სოფლის მეურნეობის მინისტრი კი გვიხსნის, რომ გარემოს დაცვის ფუნქციები აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბევრ ევროპულ ქვეყანაში შეთავსებული, მაგრამ ბოლო ტენდენციებს უნდა დავაკვირდეთ და ისე ვიმოქმედოთ. თუმცა, მაინც არ ვთვლი, რომ დრამატულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, ვნახოთ.

დანარჩენი სამინისტროების ოპტიმიზაცია სწორი გადაწყვეტილებაა: მაგალითად, ევროინტეგრაციის სამინისტროს ფუნქციები საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციებთან იყო დუბლირებული. ამ სამინისტროს ერთი მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის ევროინტეგრაციაა. ეს სამინისტრო თავის დროზე პროვინციული მოტივებით შეიქმნა, თითქოს ამით ხდებოდა ჩვენი ევრომისწრაფებების ხაზგასმა, მაგრამ დასავლეთისთვის ბევრად უფრო მისაღებია ტრადიციულ სამინისტროსთან ურთიერთობა, ვიდრე მოგონილთან.

ასევე სწორი გადაწყვეტილებაა

ენერგეტიკის სამინისტროსთან დაკავშირებით მიღებული. ფუნქციების გადანაწილება ეკონომიკის სამინისტროსთან ახსნადი ლოგიკაა.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ დიდი უბედურება იყო. ეს იყო პოსტსაბჭოთა კომპლექსის გამოვლინება. ამ შემთხვევაში ახალგაზრდულ ნაწილს ვგულისხმობ და არა – სპორტის. ყველა მთავრობამ უნდა დაანებოს თავი ახალგაზრდების იდეოლოგიზაციასა და პოლიტიკურ თამაშებში ჩართვას.

საბოლოო ჯამში, მიღებული გადაწყვეტილება ამოცანას ამარტივებს. ეს თეორიულად სისტემის გაჯანსაღებისკენ მიმართული ნაბიჯია, თუმცა გაგრძელებაც შეიძლებოდა.

– კიდევ რამდენიმე სამინისტროს შემცირება შეიძლება?

– რა თქმა უნდა. შერიგების სამინისტროს გაუქმება შეიძლება და სახალხო დიპლომატიის წინ წამოწევა უფრო უპრიანი იქნებოდა. არანაირი აუცილებლობა არ არის ამ სამინისტროს ამ ფორმით არსებობა. ასევე დევნილთა სამინისტროს ფუნქციების გადანაწილება შეიძლება თავისუფლად. სასჯელაღსრულების სამინისტროს არსებობაც არასწორია, სავსებით საკმარისია დეპარტამენტის დონეზე მისი ფუნქციები, თუმცა ის, რაც ამ ეტაპზე შემოგვთავაზეს, სავსებით მისაღებია და ლოგიკური გაგრძელება შეიძლება. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლებამ ძირეული რეფორმისკენ გადადგა ნაბიჯი.

„კვირიკაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად გადაყვანაში გარკვეული ლოგიკა არის“

ამას უნდა მოჰყვეს ბიუროკრატიის, სახელმწიფო აპარატის ოპტიმიზაცია. ამიტომ ვამბობ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. დღეს ხელისუფლებამ უკეთესი მანქანა იყიდა სამართავად, მაგრამ უკეთესი მანქანა არ ნიშნავს, რომ კარგად გატარებს, მას კარგი მართვა სჭირდება, უკეთესად რომ გატაროს. თუ ცუდად მართავ, შეიძლება პირველივე მოსახვევში გადაიჩეხო.

– რამდენად ელოდით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სწორედ გახარიას ჩააბარებდნენ. რატომ გახარია?

– ვფიქრობ, საკმაოდ გასაგები არჩევანია. აგიხსნით, რატომ. გახარიასთან მთავარი პრეტენზია არის ის, რომ ის სისტემის ნაწილი არ არის და მას არ აქვს გამოცდილება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მინუსია და არა – პლუსი გამოცდილება და სისტემის ნაწილობა. ძალიან სპეციფიკურ სისტემასთან გვაქვს საქმე. შინაგან საქმეთა სამინისტროში თითქმის არ არსებობენ კარიერული ავტორიტეტები. ყველა ადამიანი, რომელიც სისტემის ნაწილია, სისტემის მძევალია. მათ იმის

კომფორტი, შესაძლებლობა, რომ სისტემაში სერიოზული რეფორმა გაატარონ, სისტემას დაუპირისპირდნენ, არ აქვთ.

გახარიას ექნება კომფორტი, რომ სისტემაში სერიოზული წმენდა ჩაატაროს, სერიოზული რეფორმა განახორციელოს. ბოლო დროს ე.წ. ჩადების თემა აქტუალური გახდა, სხვა მიმართულებით იყო სერიოზული პრობლემები. ამიტომ ვამბობ, რომ ამ დონის რეფორმის გატარება მხოლოდ გარედან მოსულ ადამიანს შეუძლია. შიგნიდან ამის გაკეთება შეუძლებელია. მღებრიშვილი, დამერწმუნებით, არ იყო ყველაზე ცუდი ადამიანი, მაგრამ ის იყო სისტემის მძევალი. შესაბამისად, მას არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

გახარია არ არის სისტემის ნაწილი და პოლიტიკური ვალდებულებები დატვირთული. ის არ განეკუთვნება არცერთ სახელისუფლებო ჯგუფს. მას შეუძლია ერთგვარი ძალის ცენტრის ფორმირება.

– არცერთ კლანს არ წარმოადგენს?

– სწორად აღნიშნეთ, ის არ ყოფილა ხალიჩის ქვეშ თამაშებით დაკავებული. ის თავისუფალია კლანური ინტერესებიდან. ეს თავისუფლება მას შანსებს აძლევს, რომ თამამი ნაბიჯები გადადგას და პოლიტიკურ ხლართებში არ გაებას. მართალია, რისკი ძალიან მაღალია, ვერ იყოს წარმატებული, რადგან ურთულესი სფეროა, მაგრამ მას წინაპირობები აქვს, რომ, პირიქით, წარმატებული გახდეს.

– ბატონო გია, კვირიკაშვილმა ამ ცვლილებებით პოზიციები გაიმყარა?

– არა მგონია. კვირიკაშვილი საერთოდ არ მიმაჩნია დიდ პოლიტიკურ მოთამაშედ.

– მაშინ ეს გადაწყვეტილებები ვინ მიიღო, ივანიშვილმა?

– არა, არ არის აუცილებელი, რომ ეს გადაწყვეტილებები ერთმა კაცმა მიიღოს. გარკვეული კონსულტაციებისა და ანალიზის საფუძველზე მოხდა. ერთ ადამიანზე ცოტა მეტი მონაწილეობდა ამ გადაწყვეტილებაში.

– გამოდის, კვირიკაშვილს ის პოზიციები აქვს, რაც დღეს?

– დიახ. ყოველ შემთხვევაში, არ გაძლიერებულა. შეიძლება პირიქით, ოდნავ შესუსტდა კიდევაც, თუმცა დეტალებში არ შევალ.

– ჩვენთვის მიუწვდომელ ინფორმაციას ხომ არ ფლობთ ამ კუთხით?

– არა, მე მაქვს ის კომფორტი, რომ ვილაპარაკო ზუსტად იმდენი, რამდენიც მიმაჩნია, რომ სწორია. შემიძლია გესაუბროთ, მაგრამ არ მინდა, ეს საუბარი ჭორაობას დაემსგავსოს, თუმცა თქვენი პროფესიული ინტერესის კარგად მესმის.

– გიორგი კვირიკაშვილი დარჩება თავის პოსტზე თუ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გახდება?

– გარკვეული პერიოდი დარჩება, თუმცა ეს ყველაფერი დინამიკაზე, ამ ცვლილებებზე, კოორდინაციაზეა დამოკიდებული. ვნახოთ. პოლიტიკაში დოგმატური ფორმულები არ არსებობს, თუმცა კვირიკაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად გადაყვანაში გარკვეული ლოგიკა არის.

გიორგი ვაშაძე: „კვირიკაშვილი კალაძეში კონკურენტს ხედავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, სხვადასხვაგვარი შეფასება მოვისმინეთ სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით. ბევრი თვლის, რომ აქ ხარჯების ოპტიმიზაცია არაფერ შუაშია და კლანურ ჩანაცვლებასა და გუნდში დაპირისპირებას აქვს ადგილი. რას იტყვით თქვენ?

– აქ ერთი რამ არის თვალშისაცემი – „ქართულ ოცნებაში“ შიდა კონკურენციაა. ეს შეიძლება პოზიტიურადაც შევაფასოთ. კონკურენცია ყოველთვის კარგია. რაც შეეხება უშუალოდ ამ ცვლილებებს, ეს რომ საოცარი ხარჯების ეკონომიას არ მოგვცემს, ცალსახაა. ზოგადად ასეთი შემცირებები შტატების ზრდით მთავრდება ხოლმე, იმიტომ, რომ ფუნქციურად და სისტემურად არაფერი იცვლება მთავრობის საქმიანობაში. რამე ახალი რეფორმა, რამე ახალი რომ მოგვესმინა, კიდევ შეიძლება ეს გვერწმუნა. ეს ასევე გაკეთდა იმისთვის, რომ კალაძის გავლენები მთავრობაში შეემცირებინათ. ამ შემთხვევაში ენერგეტიკის სამინისტრო მთლიანად მიუერთეს ეკონომიკის სამინისტროს.

– ენერგეტიკის სამინისტრო რომ არ გაეუქმებინათ, იქ კვლავ კალაძის მმართველობა იქნებოდა?

– კი, იქ კალაძის კადრი იყო დანიშნული ელოშვილის სახით და ერთ-ერთი გამოსავალი იყო ამ სამინისტროს გაერთიანება ეკონომიკის სამინისტროსთან.

– ვის სჭირდება შიგნით კალაძის დასუსტება? ის არჩეული მერია.

– ეს ბუნებრივი პროცესია, სწორედ არჩეული რომ არის, არის კონკურენცია იმავე კალაძესა და კვირიკაშვილს შორის და, აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი ხდება. ყველაფერი დამოკიდებულია კალაძეზე, თუ ის შეძლებს თბილისში რეალურად რეფორმების გატარებასა და რაიმე სასიკეთო ძვრების გაკეთებას, ეს მისთვის კარგი იქნება, თუ ვერ შეძლებს, ეს კიდევ უფრო რთული იქნება სამომავლოდ მისი პოლიტიკური კარიერისთვის. ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერი ჩანს კალაძის მხრიდან, თუმცა ახალია და შევხედოთ.

საერთოდ, ნებისმიერ ახლადარჩეულ ადამიანს აქვს პირველი სამი თვე. ყველაზე მაღალი მანდატია ეს პერიოდი რადიკალური და ფუნდამენტური ცვლილებებისთვის. თუ პირველ სამ

თვეში ამას ვერ განახორციელებს, ის, უბრალოდ, შევა არსებულ ბიუროკრატიასთან ჭიდაობის პროცესში.

– ვისთვის არის საფრთხის შემცველი ის, რომ კალაძე ძლიერი იყოს?

– გარკვეულ კონკურენტს კალაძეში ხედავს იგივე კვირიკაშვილი და მისი გუნდი. სხვა მინისტრებს რაც შეეხება, პირველ რიგში, განათლების სამინისტროს ვიტყვი, იმიტომ რომ ჩვენთან, სამწუხაროდ, განათლების სამინისტრო ყველაზე მიგდებულია და ადამიანის დასაქმება რომ გინდა, მაშინ უშვებენ განათლების სამინისტროში. სამწუხაროდ, არ ელირსა ამ სამინისტროს ნორმალური მინისტრი და ეს არის საქართველოს განვითარებისთვის ყველაზე დიდი ჩავარდნა. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ შინაგან საქმეთა და ეკონომიკის სამინისტროებზე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების სამინისტროა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გახდება თუ არა გახარია მეორე მერაბიშვილი

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ეს არჩევნები ბევრ რამეს შეცვლის“

შორენა მარსაგიშვილი

ჰატომ წააგო ხელისუფლების კანდიდატმა არჩევნები გუჩიაში, ჰაზე უნდა დაფიქრდეს ოპოზიცია, ჰას მოუტანს ქვეყანას საჯაღჰო ცვლილებები, ჰა ნიშნით შეაჰჩიეს შს მინისტრად გახაჰია? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაეჰთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბჰება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– 12 ნოემბერს ოზურგეთში მერის განმეორებითი არჩევნები გაიმართა, სადაც დამოუკიდებელმა კანდიდატმა კოტე შარაშენიძემ გაიმარჯვა. ოზურგეთი ჩემი კუთხეა, იქ არსებულ სიტუაციას კარგად ვიცნობ და ჩემთვის არჩევნების ასეთი შედეგით დასრულება მოულოდნელი არ ყოფილა. მე ის უფრო გამიკვირდა, „ოცნებამ“ მერობის კანდიდატად ბეგი სიორიძე რომ დაასახელა.

ამ კაცს ოზურგეთში კარგი საქმეებიც აქვს ნაკეთები, მაგრამ საზოგადოებაში მის მიმართ მაინც არ იყო დადებითი დამოკიდებულება. ხალხის ასეთი განწყობა „ოცნებაშიც“ იცოდნენ და მისი კანდიდატურის დასახელებას მეოცნებეებიც არ მიესალმებოდნენ.

– თუ არ მიესალმებოდნენ, რატომ წარადგინეს?

– ვერ გეტყვით. ეტყობა, ვიღაცამ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და შემდეგ აღარ შეცვალეს.

– ის ვიღაც ბიძინა ივანიშვილის ძმა ადიკო ივანიშვილი ხომ არ არის? მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყოფილი პრემიერის ძმა ბეგი სიორიძის აქტიური მხარდამჭერი იყო.

– ეს ინფორმაცია ადიკო ივანიშვილმაც უარყო. და არც იმაში იქნებოდა ტრაგედია, სიორიძის მხარდამჭერი რომ ყოფილიყო. რახან ბიძინას ძმაა, ვინმეს მხარდაჭერა კი არ ეკრძალება.

ისევ არჩევნებს დავუბრუნდები და ოზურგეთში კარგი ამბავი მოხდა. ქვეყნის დემოკრატიის განვითარებისთვის ძალიან კარგია, როცა ხელისუფლება ყველგან არ იგებს არჩევნებს.

ასეთი ფაქტი დაფიქსირდა არჩევნების პირველ ტურშიც. თიანეთში არჩევნები დამოუკიდებელმა კანდიდატმა თამაზ მეჭიაურმა მოიგო. ნამდვილად არ იქნებოდა კარგი, ყველა თემი და ქალაქი „ოცნებას“ რომ დარჩენოდა.

– ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ოზურგეთში გამარჯვებული შარაშენიძე და თამაზ მეჭიაური ყოფილი მეოცნებეები არიან.

– ვიღაცა საიდანღაც მოდის, შესაბამისად, მეჭიაური და შარაშენიძეც არ ჩამოფრენილან ციდან. ისინი ახლა იყვნენ დამოუკიდებელი კანდიდატები და მათი გამარჯვება მხოლოდ მისასალმებელია.

თავად ეს არჩევნები კი „ქართული ოცნებისთვის“ გაკვეთილი უნდა იყოს – როდესაც ხალხის განწყობას უკუაგდებ, ცუდად დაამთავრებ. რატომღაც მგონია, რომ „ოცნებაშიც“ ძალიან გაუხარდათ მისი წარუმატებლობა.

ყველაზე საოცარი ისაა, რომ სიორიძის დროს ბევრი რამე გაკეთდა ოზურგეთში. ამას ოპოზიციაც აღიარებს, მაგრამ ფაროსანამ ძალიან სერიოზული პრობლემები შეუქმნა არჩევნებზე ხელისუფლებას. სააკაშვილი გზებს რომ აგებდა, მშიერი ხალხი ამბობდა, ასფალტი ვჭამოთო. ახლა გურიაში ისეთიმდგომარეობაა, რომ ხალხი კითხულობს, ფაროსანა ვჭამოთო. ფაროსანამ მთელი გურია მშიერი დატოვა.

– კი მაგრამ, ფაროსანას გამო გადაემტერნენ სიორიძეს, ახლო ნათესავები არიან თუ რა?

– ფაროსანა სიორიძეს ნათესავი როგორ იყო? ამ ადამიანის მიმართ სხვა რაღაცების გამო ჰქონდა ადგილობრივებს პრეტენზიები. რაც შეეხება ფაროსანას, მის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა.

– ფაროსანამ სამეგრელოც იავარჰქმნა, მაგრამ იქ „ოცნებამ“ უპრობლემოდ მოიგო.

– იქაურმა ხელისუფლებამ უფრო აქტიურად იმუშავა ხალხთან. გურიაში ეს არ გაუკეთებიათ და შედეგიც დადგა.

ეს არჩევნები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის იქნება გარდამტეხი – საქართველომ დაინახა, რომ ხალხი თუ მოინდომებს, სახელისუფლებო კანდიდატის დამარცხება შეიძლება. ასე მოხდა თიანეთში, ასე იყო ოზურგეთში. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

ოპოზიციას რომ ჰქონოდა რესურსი და თავისი მომხრეები არჩევნებზე მიეყვანა, ბევრგან მოიგებდა არჩევნებს. ხელისუფლებას ჰქონდა ეს რესურსი და მიიყვანა ხალხი უბნებზე. ეს არ არის კანონდარღვევა.

მე შემუშავებული მაქვს საკონსტიტუციო ინიციატივა, რომელსაც მთელმა რიგმა პარტიებმა მოაწერეს ხელი. ეს ინიციატივა ასეთია – არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს.

– ეს არ იქნება იმ ადამიანების უფლებების დარღვევა, რომლებსაც რიგი მიზეზების გამო არჩევნებზე წასვლა არ გვინდა?

– ეს კითხვა არაერთხელ დაისვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ თუ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდება, ამით ადამიანის უფლებები არ შეილახება.

ადამიანებს სახელმწიფოს წინაშე მთელი რიგი ვალდებულებები აქვთ. ესენია გადასახადების გადახდა, ჯარში სავალდებულო სამსახური. ასევე უნდა იყოს არჩევნებზე წასვლაც. ეგრე არ არის, რომ თქვა, არ მინდა და არ გავაკეთებ.

– თუ არც ერთი პარტიისთვის და კანდიდატისთვის არ ვაპირებ ხმის მიცემას, რატომ უნდა წავიდე არჩევნებზე?

– არჩევნებზე უნდა წახვიდე და თუ არავინ არ მოგწონს, შეგიძლია ყველა გადახაზო, ან ბიულეტენზე ყველას დაუწერო, ყველას დედავატირეო. ბიულეტენზე საოცარ რამეებს აწერენ.

– მაგის დასაწერად უბანზე რომ არ მივიდე, სახლში ვერ ვიტყვი ამას?

– ეგრე რომ ფიქრობს ხალხის უმეტესობა, მაგიტომაც იგებს ხელისუფლება სულ არჩევნებს. როგორც უკვე გითხარით, ჩემს ინიციატივას მთელმა რიგმა პარტიებმა მოაწერეს ხელი. მერე, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მხარი აღარ დამიჭირეს და ახლა იმაზე წუწუნებენ, ხელისუფლება არჩევნების დღეს აგიტატორებს რატომ ამუშავებდაო. დაეჭირათ ჩემი ინიციატივისთვის მხარი და აგიტატორები საჭირო აღარ იქნებოდა.

აუცილებელია ხალხთან მუშაობა და ხალხის განწყობის შესწავლა. თამაზ მეჭიაურზე რომ ატეხეს ამბავი, კაპოტზე ქეიფობსო, ხალხთან ერთად რომ სვამდა კაპოტზე, მაგიტომაც მოიგო თიანეთის მერის არჩევნები.

– კაპოტი თუ მაგას შველის, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, დეპუტატობის კანდიდატები კაპოტებიდან პურმარილს არ აიღებენ.

– იცინეთ, იცინეთ და კაპოტს დიდი ძალა აქვს, ისევე, როგორც ხალხის განწყობას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამომრჩევლის აქტიურობაა. არჩევნებზე წაუსვლელობისთვის უნდა დაწესდეს ფულადი ჯარიმა და ყველა წავა.

– რა ოდენობის ჯარიმა უნდა დაწესდეს?

– იყოს სიმბოლურად ერთი ლარი. მთავარია, ხალხი არჩევნებზე მივიყვანოთ. ან რა უბედურებაა, 3 წელიწადში ერთხელ რომ გეზარებათ არჩევნებზე წასვლა. ხშირად ერთ ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომ ყველა უნდა მივიდეს არჩევნებზე. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდება.

– ისე დაჟინებით ითხოვთ ამას, რაღაც შარში გაყოფთ თავს. დაჟინებულ მზერაზე ითხოვენ სასჯელის შემოღებას და თქვენ დაჟინებასაც რაიმე მუხლი არ მიუსადაგონ.

– მთელი უბედურება ისაა, რომ ჩემი ინიციატივა არავინ განიხილა, სამაგიეროდ, მიშტერებაზე მიდის ერთი ამბები. მაგ კანონის ინიციატორები თუ მივუშვით თავის ნებაზე, ცოტა ხანში სექსზეც დაგვიწესებენ ლიმიტს და შეზღუდვებს.

ისევ ამომრჩევლის თემას დავუბრუნდები და გავიმეორებ, რომ „ოცნებამ“ ხალხის განწყობას პატივი უნდა სცეს. ზოგიერთი მეოცნებე იმასაც კი ამბობს, არჩევნებში გამარჯვებულ შარაშენიძეს არ მივულოცავო.

იმედი მაქვს, რომ 12 ნოემბრის არჩევნები ხელისუფლებისთვისაც გაკვეთილი იქნება და ხალხისთვისაც. სადაც არის აქტიურობა, იქ არის შედეგი. ხალხის ნების წინააღმდეგ ვერავითარი აგიტატორი ქალები ვერ წავლენ, რაც არ უნდა ფურცლები აფრიალონ.

მინდა, რომ არჩევით ორგანოში რაც შეიძლება მეტი ოპოზიციური ძალა მოხვდეს. ერთადერთი, ვისი გამარჯვებაც არ გამიხარდება, ნაციონალური მოძრაობაა. დანარჩენები რაც მეტად იქნებიან წარმოდგენილი, მით მეტად განვითარდება დემოკრატია. დემოკრატიის განვითარება კი ავტომატურად აისახება ქვეყნის განვითარებაზე.

– საქართველოში არიან ისეთები, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის განვითარებას ხელს ის სამთავრობო ცვლილებები შეუწყობს, რომლებიც ახლა განხორციელდა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე? ყველაზე მეტი კითხვა გიორგი გახარიას შს მინისტრად დანიშვნამ გააჩინა.

– ვის გაუჩნდა კითხვები, ნაციონალებს? მინდა მათ შევახსენო, რომ არც ვანო მერაბიშვილს ჰქონდა რაიმე შეხება პოლიციასთან, შს მინისტრად რომ დაინიშნა. მოგვიანებით მან პოლიცია უკანონო ბრძანებების შესასრულებლად გამოიყენა, თორემ თავიდან ბევრი რამე გააკეთა პოლიციის გასაძლიერებლად.

– მერაბიშვილს აქებთ? ადრე თქვენგან ასეთი რამე არ მსმენია.

– ვანო მერაბიშვილი როგორ უნდა შევაქო. მე იმას ვამბობ, რაც იყო. მერაბიშვილი შს მინისტრად რომ დაინიშნა, მაშინდელ პოლიციას არც ტანსაცმელი ჰქონდა და არც მანქანები ჰყავდა. არ იღებდნენ ხელფასს. მერაბიშვილის მისვლის შემდეგ ძალიან ბევრი რეფორმა გატარდა. პოლიცია დაფასებული გახდა.

ვანო მერაბიშვილი პოლიციელებს დღემდე უყვართ. უნდა იცოდე, რომ როცა პოლიციაზე აუგს იტყვი, მთელი სისტემა დაგიპირისპირდება.

– პოლიციაზე აუგის თქმა ახსენეთ და გიორგი მღებრიშვილის ნათქვამი „ბალასტი“ გაქვთ მხედველობაში?

– მარტო „ბალასტზე“ არ ვსაუბრობ, თუმცა ეს ფრაზა მეც ცუდად მომხვდა ყურში. ძველ ამბავს გავიხსენებ. პროკურატურა ერთ-ერთ რეგიონში პოლიციელის დაკავებას აპირებდა, სპეცოპერაცია უკვე დაგეგმილი იყო. მერაბიშვილი ადგა, ჩავიდა იმ რეგიონში და ის პოლიციელი ორდენით დააჯილდოვა, რომელიც დასაჭერად იყო გამზადებული.

– ის პოლიციელი აღარ დაიჭირეს?

– კაცი მინისტრმა სახალხოდ დააჯილდოვა და მას ვინ დაიჭერდა. ის, რაც მერაბიშვილმა გააკეთა, მთელ პოლიციას მოედო და მის მიმართ კიდევ უფრო მეტი პატივისცემა გაუჩნდათ.

მესმის, რომ ის არასწორად მოიქცა, როცა დასაკავებლად გამზადებული პოლიციელი გადაარჩინა დაჭერას, მაგრამ რიგითმა პოლიციელებმა დაინახეს, რომ მინისტრი მათ გვერდში იდგა.

მაშინ პოლიცია ძალიან ცუდ რამეებს აკეთებდა და ეს ძალიან ცუდი იყო, მაგრამ რაც ახლა ხდება, არც ეგ არის კარგი. ექსპერტებიდან დაწყებული, ჟურნალისტებით დამთავრებული, ყველა პოლიციას აგინებს. ეს პოლიციელებზე მოქმედებს. ისინი ძველ დროს იხსენებენ და აღიარებენ, მაშინ უფრო დაფასებულები ვიყავითო.

ჩემი აზრით, გახარიას დანიშვნა ამ მხრივ კარგი იქნება. მგონია, რომ პოლიციაში დადებითი სიმპტომები გაჩნდება.

– თქვენ გინდათ, რომ გახარია მეორე მერაბიშვილი გახდეს?

– მეორე ვანო მერაბიშვილისგან ღმერთმა დაგვიფაროს. გახარია არასდროს იქნება ის კაცი, რომელიც გვამებს ითხოვდა და მიტინგებს არბევდა. უამრავ საზიზღარ თვისებასთან ერთად, მერაბიშვილსაც ჰქონდა დადებითი მომენტები. მან იმდენი შეძლო, რომ პოლიციას ღირსება დაუბრუნა.

მე მინდა, რომ პოლიცია ახლაც დაფასებული იყოს და მას პატივს სცემდნენ. ხალხს პოლიციამაც უნდა სცეს პატივი. თავიდან მერაბიშვილზეც იცინოდნენ, მაგრამ მან საქმის გაკეთება შეძლო. დარწმუნებული ვარ, გახარიაც იგივეს იზამს.

ჩემი აზრით, შს მინისტრს კარგი მენეჯერული თვისებები უნდა ჰქონდეს. გახარია ცუდ საქმეებთან არ ასოცირდება და, შესაძლოა, სწორედ ამიტომ დანიშნეს შს მინისტრად.

თემურ თორდინავამ თანამდებობა დატოვა

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ თანამდებობა დატოვა. თორდინავა თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა.

– ჩემი ინიციატივით, გუშინ მივმართე ქალაქ თბილისის ახალ მერს, ბატონ კახი კალაძეს და პირადი განცხადების საფუძველზე დავტოვე თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობა, – აცხადებს თორდინავა.

ვინ შეცვლის თორდინავას, ეს ჯერჯერობით უცნობია. არც ისაა ცნობილი, თავად სად გააგრძელებს მუშაობას.

2017, 15 ნოემბერი, №271

„ოცნებას“ მესაფლავეები ირჩევენ, ნაციონალებს — მკვდარი სულები“

თბილისის ახალი საკრებულო მუშაობას შეუდგა

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის ახალი საჯრებულო მუშაობას შეუდგა. 50-ჯაკიან საჯრებულოში „ქართული ოცნება“ 40 ნევრით არის წარმოდგენილი. ნაციონალეს მოძრაობას 5 ნევრი ჰყავს. მისი განაყარი „ევროპული საქართველო“ 3 ჯაკით არის წარმოდგენილი. პატრიოტთა ალიანსმა მხოლოდ 2 ნევრის გაყვანა შეძლო.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ორიგინალურად ახალი საკრებულოს პირველ სხდომაზე ალიანსელები გამოიყურებოდნენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, აწ უკვე საკრებულოს დეპუტატი ფრიდონ ინჯია სხდომაზე თეთრი ჩოხით გამოცხადდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საკრებულოს თავმჯდომარედ გიორგი ტყემალაძე აირჩიეს. მას საკრებულოს 40-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

ტყემალაძე, ბუნებრივია, მოადგილეების გარეშე ვერ დარჩებოდა. საკრებულომ მისი მოადგილეებიც აირჩია. თავმჯდომარეს სამი მოადგილე ეყოლება – გიორგი ახვლედიანი, მარიკა დარჩია და დავით უჯმაჯურიძე.

საკრებულოს პირველივე სხდომაზე ახლადარჩეული ოთხი ნევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი განიხილეს. გიორგი ალიბეგაშვილს, ნიკა მელიას, დავით ავალიანსა და დავით დარჩიაშვილს მათივე თხოვნით უფლებამოსილება შეუწყვიტეს. მათი ადგილმონაცვლე წევრის საკითხს საკრებულო შემდეგ სხდომაზე განიხილავს.

პოლიტიკური განცხადებების გარდა, პირველ სხდომაზე ერთი სხვა ტიპის განცხადებებიც გაკეთდა.

კერძოდ, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა დეპუტატმა გლდანიდან გულია გოცირიძემ მეტი სინათლე მოითხოვა. მან საკრებულოს სხდომათა დარბაზი დაიწუნა, რადგანაც ის ძალიან „ჩაბურულია“.

– შემომაქვს ასეთი საკითხი, რომ ჩვენი ისტორიული, ძალიან ლამაზი სხდომათა დარბაზი გამოირჩევა თავისი არქიტექტურით, ჩუქურთმებით, ძალიან ლამაზი ფერთა გამაა. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ მეჩვენება, რომ ძალიან ჩაბურულია დარბაზი, არ გეჩვენებათ ეს ყველას? – განაცხადა გულია გოცირიძემ.

ის ამ თემის განვრცობას აპირებდა, მაგრამ ტყემალაძემ არ აცალა და უთხრა, ამაზე მოგვიანებით დავილაპარაკოთო.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ, უმრავლესობისთვის საზეიმო განწყობა გაეფუჭებინათ. კენჭისყრის პროცედურის დაწყებამდე ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა „ოცნებას“ 21 ოქტომბერს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები დაუგმო.

– მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, ფაქტობრივად, ჩატარდა სპეცოპერაცია, სახელად „არჩევნები“. თქვენ აქ სხედხართ მესაფლავეების, კონდუქტორების, „თბილსერვისჯგუფის“ ბრიგადების, საჯარო მოხელეების ძალდატანებითი ჩართულობით, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული იყვნენ. ამის მადოკუმენტირებელი მასალები არსებობს და ეს საზოგადოებამ კარგად იცის.



შესაბამისად, კიდევ ერთხელ დაგიფიქსირებთ იმ პოზიციას, რომელიც მაქვს მე და ჩემს მეგობრებს, რომ ჩვენ მზად ვართ, თბილისელების საკეთილდღეოდ ვიმუშაოთ თქვენთან ერთად, მაგრამ, რაც შეეხება კორუფციას, ნეპოტიზმს, ვიქნებით შეურიგებელი, – მიმართა მმართველ გუნდს ხაბეიშვილმა.

მის მიერ არჩევნების დაგმობამ მეოცნებეები გაამწარა. ხაბეიშვილისთვის პასუხის გაცემის მისია მისმა სეხნია ლევან ჯაფარიძემ იკისრა.

მან გამჩენს მადლობა შესწირა იმის გამო, რომ „ოცნება“ მესაფლავეებმა აირჩიეს და არა მკვდარმა სულებმა. რაც მართალია, მართალია – მკვდარი სულები ნაციონალებსა და მოქალაქეთა კავშირს ძალიან სწყალობდნენ.

– დიახ, ჩვენ მემანქანეებმა აგვირჩიეს, ჩვენ მეეზოვეებმა აგვირჩიეს, ჩვენ მესაფლავეებმა აგვირჩიეს, უბრალოდ, იყო დრო, როდესაც მკვდარი სულები გირჩევდნენ, არარსებულ ადამიანები გირჩევდნენ. ამიტომ ამ თემებზე, ძალიან გთხოვთ, დღეს ნუ ვისაუბრებთ. მით უმეტეს, პირველი, საზეიმო სხდომაა, – დამოძღვრა ჯაფარიძემ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი.

თავისი სათქმელი ყოფილი ხელისუფლების განშტოებამ – „ევროპულმა საქართველომაც“ თქვა. პირველ სხდომაზე პარტიის სახელით გოკა გაბაშვილმა ილაპარაკა.

მან განაცხადა, რომ „ევროპული საქართველო“ ჩასაფრებულის პოზიციიდან არ გამოვა, მაგრამ თბილისელების ინტერესებს არ დაივიწყებენ.

– ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ თბილისელებზე, თბილისელების ინტერესებზე. გარდა იმისა, რომ წარმოვადგენთ ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს, გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა და მოსაზრებები. ვისურვებდი, ყველა ჩვენგანს გვახსოვდეს, რომ ჩვენ წარმოვადგენთ თბილისის ყველა მოქალაქეს, – აღნიშნა გაბაშვილმა.

„ჯეჯელავა გათავისუფლებული კი არა, დასასჯელია, აგულაშვილი დასაჭერია, ქართული „ცე-ერ-უ“ შედის სუს-ის შემადგენლობაში, რაც ასევე არ არის სწორი“

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა სამთავრობო ცვლილებები შეაფასა და განაცხადა, რომ პრემიერმა თანამდებობები იმ მინისტრებს დაატოვებინა, რომელთა გადადგომასაც მისი პარტიის წევრები უკვე მეორე თვეა ითხოვენ. ირმა ინაშვილის განცხადებით, პროტესტი გაგრძელდება, ვიდრე მთავრობის მეთაურის პოსტს გიორგი კვირიკაშვილი არ დატოვებს.

– ჯეჯელავა გათავისუფლებული კი არა, დასასჯელია განათლების სისტემის განადგურებისა და თეატრალიზაციისათვის. აგულაშვილი მხოლოდ მოსახსნელი კი არა, დასაჭერია არჩევნების არა ერთგზის გაყალბებისთვის. შინაგან საქმეთა მინისტრი არჩევნებში გამოწურეს და ახლა გაათავისუფლეს, თან სხვა სამსახურში გადაიყვანეს. თუ იქ არ ვარგოდა, სხვაგან როგორ ივარგებს. საერთოდ, საგანგებო სიტუაციების მართვა, მაგალითად ხანძართან ბრძოლა, უსაფრთხოების და კრიზისების მართვა კი მაგალითად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნათელია, რომ ამ ორი უწყების შერწყმა არ არის სწორი. საგარეო დაზვერვის სამსახური, ანუ ქართული „ცე-ერ-უ“ შედის სუს-ის შემადგენლობაში, რაც ასევე არ არის სწორი, – აცხადებს ირმა ინაშვილი.

ევაკუაცია თბილისის აეროპორტში

გუშინ საღამოს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ევაკუაცია გამოცხადდა.

სამართალდამცავებმა აეროპორტის ორივე ტერმინალი მგზავრებისგან დაცალეს და ბომბის ძებნა დაიწყეს.

მოგვიანებით შსს-მ განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამი იყო:

„112-ზე შევიდა შეტყობინება, რომლის საფუძველზეც, პროცედურების თანახმად, პოლიციამ დაიწყო შესაბამისი მოქმედებების განხორციელება. იყო თუ არა მიღებული შეტყობინება ცრუ, აღნიშნული ღონისძიებების შედეგად დადგინდება“.

დაახლოებით 1 საათის შემდეგ აეროპორტმა მუშაობა განაახლა და მგზავრები ორივე ტერმინალზე დააბრუნეს, თუმცა ადგილზე გარკვეული დროის განმავლობაში კვლავ მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლით (ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება) დაიწყო.

ნინო ჯანგირაშვილი: „საზოგადოებრივ მაუწყებელს სურს, ჩვეულებრივი კომერციული ტელევიზია გახდეს“

– საზოგადოებრივი მაუწყებელს უნდა, რომ გახდეს ჩვეულებრივი კომერციული ტელევიზია, ოღონდ საჩუქრად ბიუჯეტიდან 50-მილიონი ლარი მიიღოს.

ამის შესახებ ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელმა ნინო ჯანგირაშვილმა კანონში დაგეგმილი ცვლილებების საკომიტეტო განხილვისას განაცხადა.

მისი შეფასებით, საკანონმდებლო ცვლილებებით სარეკლამო ბაზარზე არასწორი წესები შემოდის.

– ეს წარმოუდგენელია არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კომერციულ ტელევიზიებთან მიმართებით, რომელთაც თითოეული თეთრის შოვნაზე დიდი შრომა უწევთ. როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებელი იმით სპეკულირებს, რომ მისი იდეა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას უნდა შემოვევლოთ ყველა, აქვე ვიტყვი, რომ დამოუკიდებელი მედიის ფინანსური მდგრადობაც ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ამას საფრთხეს უქმნის, პარლამენტმა არ უნდა გაიზიაროს, – განაცხადა ჯანგირაშვილმა.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დასაშვები ხდება კომერციული რეკლამის განთავსება სამუშაო დღეებში, გარდა საუკეთესო დროისა (19:00-24:00).

რეკლამის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ყოველ საათში 3 წუთს. გარდა ამისა, იზრდება სპორტული რეპორტაჟების, საერთაშორისო ფესტივალების და სხვა პროგრამების დროს კომერციული რეკლამის ხანგრძლივობა – ნაცვლად 30 წუთისა იგი არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს, ხოლო ყოველ საათში, ნაცვლად 6 წუთისა 12 წუთს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს არხებზე დასაშვები ხდება სპონსორობა მხოლოდ სპორტული რეპორტაჟის, საერთაშორისო ფესტივალის/კონკურსისა და გასართობის გადაცემის, სერიალების დროს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ვალდებული ხდებიან, ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმონ 3 საათში ჯამში არანაკლებ 90 წამისა (ნაცვლად 1 საათში არანაკლებ 60 წამისა).

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებით კანონში დაგეგმილ ცვლილებებს შენიშვნების გათვალისწინების პირობით დაუჭირა მხარი.

საკანონმდებლო პაკეტის განხილვა დებატების ფონზე წარიმართა, რომელშიც კომიტეტის წევრებთან ერთად, „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და კერძო ტელეკომპანიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატორები საქართველოს ეწვივნენ

რა იგეგმება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მორიგ სამიტზე

მარიამ მჭედლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში აღიარებენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროგრამის წარმატებლობას, ბოლო დროს ევროკავშირი საგრძნობლად გააქტიურდა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც შედიან „აღმოსავლეთ პარტნიორობაში". ყველგან, მათ შორის, საქართველოში, მიმდინარეობს სამზადისი მორიგი სამიტისათვის, რომელიც ბრიუსელში 24 ნოემბერს გაიმართება.

საქართველოს გარდა, ამ სახელმწიფოების კატეგორიაში არიან უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელორუსი. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის მიზანია ამ ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოება.

დაბრკოლება ამ პროცესში წარმოიშვა იმის გამო, რომ ეს ექვსი სახელმწიფო ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსხვავებულია მათი ევროკავშირთან ურთიერთობის დონე, მმართველობის სტილი, საგარეო ორიენტირები და ფასეულობები.

ამ დღეებში ევროკავშირმა სპეციალური განცხადების საშუალებით გამოუცხადა მხარდაჭერა საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას და გამოთქვა მათთან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი.

ევროკომისიამ რამდენიმე დღის წინ თავის ანგარიშში დადებითად შეაფასა საქართველოში ერთი წლის განმავლობაში ევროპული ინტეგრაციის გზაზე გატარებული რეფორმები და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ ანგარიშს მთავრობისა და რეფორმების წარმატება უწოდა.

14 ნოემბერს საქართველოს ეწვივნენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატორი ქვეყნების – შვედეთის სამეფოსა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები მარგოტ ვალსტრომი და ვიტოლდ ვაშჩიკოვსკი. საქართველოს საგარეო უწყების შეფასებით, ესაა მნიშვნელოვანი გზავნილი ევროკავშირიდან და საქართველოს კიდევ ერთი მხარდაჭერა.

ევროკავშირი სხვა ქვეყნებშიც აქტიურობს. 24 ნოემბერს, სამიტის დროს დაგეგმილია ევროკავშირსა და სომხეთს შორის ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა. ეს ასოცირების შეთანხმების თავისებური ვარიანტია.

სომეხი პოლიტიკოსების თქმით, ესაა პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხსაც მოიცავს. მასში ასახულია ევროკავშირის სახელმწიფოების შეთანხმებული პოზიცია ყარაბაღის თემაზე. მათი თქმით, ეს საკითხი იმ შეთანხმებაშიც იქნება გათვალისწინებული, რომელსაც ევროკავშირი აზერბაიჯანთან გააფორმებს.

სომხეთი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია, თუმცა, ერევანი აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავება ამას ხელს არ უშლის.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე მიწვეულია ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო. ამ პროგრამის ფარგლებში იგეგმება მინსკისათვის 2018-2019 წლებში 136 მილიონი ევროს გამოყოფა. ეს ფული უნდა მოხმარდეს ევროპულ კანონმდებლობასა და ნორმებთან ბელორუსის ადაპტაციას.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბრიუსელის კეთილგანწყობა, რომელიც ლუკაშენკომ დიდი შესვენების შემდეგ რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვის ფონზე მოიპოვა, მინსკს რუსეთზე ზეწოლისათვის სჭირდება. ლუკაშენკოს ამ გზით უნდა, მოსკოვიდან მიიღოს დამატებითი ფინანსური და ენერგეტიკული დოტაციები. სინამდვილეში, მას ევროინტეგრაცია არ უნდა.

ამ თემაზე არსებობს სხვა მოსაზრებებიც. ამ შეხედულებებით, მოსალოდნელია მინსკის ნამდვილი ევროინტეგრაცია და რუსეთისთვის ზურგის შექცევა.

სხვა ქვეყნებისათვის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი უშედეგო არ უნდა იყოს. უცნობია, რა სიახლეა მოსალოდნელი ბრიუსელში საქართველოსთვის.

„მსოფლიო მედია საუბრობს იმაზე, რომ ღვინო არის 8.000 წლის და ზუსტად 8.000 წლის წინ დაიბადა საქართველოში“

დღეს უკვე მსოფლიოში პოპულარული პრესა და ბევრი საინფორმაციო სააგენტო საუბრობს იმაზე, რომ ღვინო არის 8.000 წლის და ღვინო ზუსტად 8.000 წლის წინ დაიბადა საქართველოში, – ამის შესახებ ჟურნალისტებს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა სასტუმრო „რედისონში“ განუცხადა, სადაც „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის სახელმწიფო პროექტის“ დასრულებაზე საზოგადოებას მსოფლიო მნიშვნელობის შედეგები წარედგინა.

ლევან დავითაშვილმა ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე ისაუბრა, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეო-

ლოგიური გათხრები ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ 8.000 წლის წინ აყენებდნენ. ლევან დავითაშვილის თქმით, ამ სტატიით, რაც ინდუსტრიისა და ქვეყნის რეპუტაციისთვის არის მნიშვნელოვანი, ყველაფერი გამყარებულია.

– დღეს მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენ არ შეგვეძლო ხაზგასმით და გადაჭრით გვესაუბრა იმ სამეცნიერო კვლევების შედეგებზე, რომელიც 2013 წელს დაიწყო ღვინის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ეროვნული მუზეუმის დაფინანსებით და ასოციაცია „ქართული ღვინის“ ინიციატივით იმიტომ, რომ ჩვენ გვქონდა ასეთი შეთანხმება ამერიკის მეცნიერებათა აკადემიასთან, ვიდრე არ გამოქვეყნდებოდა ოფიციალური სამეცნიერო სტატია, ჩვენ ვერ ვისაუბრებდით მასმედიასთან შედეგებზე. იცით, რომ ეს სტატია 13 ნოემბერს გამოქვეყნდა. დღეს უკვე მსოფლიოში მედია საუბრობს იმაზე, რომ ღვინო არის 8.000 წლის და ღვინო ზუსტად 8.000 წლის წინ დაიბადა საქართველოში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი კულტურის კომუნიკაცია მოვახდინოთ მთელ მსოფლიოში. საქართველო ახლებურად, სხვა ჭრილში, უფრო საინტერესოდ ვაჩვენოთ მსოფლიოს საზოგადოებას, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

რატომ მივიდა ამერიკის ელჩის მოადგილე სოხუმის უნივერსიტეტის ახალ რექტორთან

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ სოხუმის უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მიერ აფხაზეთთან დაკავშირებით წამოწყებულ პროექტებზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ელჩის მოადგილე იმყოფებოდა სოხუმის უნივერსიტეტში. რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული მისი სტუმრობა?

– მე გამიკვირდა ამერიკის ელჩის მოადგილის სტუმრობა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ახალი რექტორი აირჩიეს ხელისუფლების მხარდაჭერით. ამას არც დასაკნინებლად ვამბობ და არც აღმატებული ფორმით. ადრეც მითქვამს, რომ ის დრო წავიდა, როცა კავკასიაში რუსეთი იყო ერთადერთი სერიოზული მოთამაშე. ახლა კავკასიაში სერიოზული მოთამაშეები არიან აშშ, ევროკავშირი და მათ შორის, სამწუხაროდ, რუსეთი.

როდესაც სოხუმის უნივერსიტეტში დღის წესრიგში დადგა ახალი რექტორის არჩევა, ხელისუფლების მხარდაჭერით აირჩიეს ხონელიძე. ის ფაქტი, რომ აშშ-ის ინტერესების სფეროში შედის საქართველო მისი ოკუპირებული ტერიტორიებით, კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის სახელმწიფოს ერთ-ერთი მაღალი რანგის დიპლომატის სოხუმის უნივერსიტეტში მისვლამ.

– რას ნიშნავს ეს?

– უნივერსიტეტს ჰყავს ახალი რექტორი, რომელმაც არაერთი განცხადება გააკეთა აფხაზეთთან ურთიერთობების გააქტიურების, ახალგაზრდების გადმოყვანასა და საერთო პროექტების განხორციელებაზე. სოციალურ ქსელებშიც ენგურის ხიდთან გადაღებული რექტორის სურათიც დაიდო. მე, რა თქმა უნდა, მივესალმები, თან, ინფორმაციიდან გამომდინარე, რაღაც საკითხებში ჩახედული ვარ და ამიტომ ამ ნაბიჯებს მივესალმები. თუმცა, ერთია განცხადება და მეორეა განხორციელება.

აფხაზეთთან საერთო პროექტების განხორციელება არაერთხელ შევთავაზე წინა ხელისუფლებას, მაგრამ ჩემთვის გასაკვირი მიზეზებით ჩემს პროექტებზე უარი თქვეს.

– რას გეგმავდით?

– აფხაზეთში, სოხუმში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების თბილისში ჩამოყვანასა და აფხაზეთში კონფლიქტის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას. ამაზე დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ უარი მივიღე. თუმცა, ისიც კარგად მესმოდა, რომ ამ პროექტის განხორციელება ღიად არ შეიძლებოდა და თან იმ ადამიანების თბილისში ჩამოსვლა უსაფრთხო უნდა ყოფილიყო.

როცა ასეთი მნიშვნელოვანი უმაღლესი

სასწავლებლის რექტორი ასეთ განცხადებებს აკეთებს, ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, თუ როგორ და ვისი ხელშეწყობით შეძლებს ის მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას.

– რადგან ელჩის მოადგილე მივიდა უნივერსიტეტში, თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება პროექტები ამერიკის ხელშეწყობით განხორციელდეს?

– მთლად ასე არ ვამბობ. მე ვსვამ კითხვას: ვისი ხელშეწყობით შეიძლება აფხაზეთთან დაკავშირებული პროექტები განახორციელოს უნივერსიტეტის რექტორმა? რუსეთის სპეცსამსახურები აფხაზეთში ყველასა და ყველაფერზე ტოტალურ კონტროლს ახორციელებენ. აშშ, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, დაინტერესებულია, როგორ აპირებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამ პროექტების განხორციელებას. თუ ის წარმოდგენილი პროექტების განხორციელებას რუსეთის ხელშეწყობით აპირებს, მე ეჭვი მეპარება, რომ რუსეთმა ეს საქართველოს სასარგებლოდ, ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით გააკეთოს.

შეიძლება ამერიკის ელჩის მოადგილეს აინტერესებდა, რაში შეიძლება დაეხმაროს ამერიკა ამ პროექტების განხორციელებისას. დარწმუნებული ვარ, დღის წესრიგში ეს იყო, როცა ის მივიდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

– ვისი ხელშეწყობითაც უნდა აპირებდეს პროექტის განხორციელებასა და აფხაზეთიდან სტუდენტების მოწვევას ლტოლვილ სოხუმის უნივერსიტეტში სასწავლებლად, დადებითი შედეგების მომტანი არ იქნება?

– ვინ რისთვის შეუწყობს ხელს ამგვარი პროექტის განხორციელებას, ეს არის მნიშვნელოვანი. შეიძლება კონტროლირებადი პროცესი იყოს, საზოგადოებას კი აჩვენონ, აფხაზებთან ერთობლივ მნიშვნელოვან პროექტებს ვახორციელებთო, ამ დროს კი პროცესი წარიმართოს რუსეთის ტოტალური კონტროლის ქვეშ, ისევ და ისევ მათ რომ გამოიყენონ და კონტროლის სადავეები ხელიდან არ გაუშვან. მე ვსაუბრობ არა ჩასაფრებულის პოზიციიდან, არამედ კეთილგანწყობით, მაგრამ ყოველთვის კრიტიკულად მივუდგები აფხაზეთის უნივერსიტეტის ახალი ადმინისტრაციის წამოწყებებს აფხაზეთთან დაკავშირებით.

მაინტერესებს, პროექტები განხორციელდება ამერიკისა და ევროკავშირის გვერდის ავლით თუ საერთაშორისო საზოგადოების მეთვალყურეობით.

– თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს პროექტი გქონდათ. როგორ და ვისი მხარდაჭერით აპირებდით მის განხორციელებას?

– ის ადამიანები გადმოვიდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ენგურს აქეთ, უსაფრთხოების დაცვის გარანტიით, ჩატარდებოდა საერთაშორისო კონფერენცია თბილისში. მათ უსაფრთხოდ უნდა ეგრძნოთ თავი ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე. კონფერენციის ჩატარების შემდეგ 5 პიროვნებიდან 3 პიროვნება სოხუმში დაბრუნებას არ აპირებდა.

– ორი ხომ დაბრუნდებოდა. როგორ შეხვდებოდნენ სოხუმში?

– არ განაცხადებდნენ, რომ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ხურჩაში გვიან ღამით და დიდი ხანი ვილაპარაკეთ ამის თაობაზე იმ ადამიანებთან. იქ ისეთი მომენტებიც იყო, რის თქმის უფლებაც არ მაქვს. თუ ეს პროექტი განხორციელდებოდა, ხელისუფლებას საერთაშორისო ასპარეზზე სალაპარაკო ექნებოდა.

– ახლა, როგორც ჩანს, რაღაც პროექტის განხორციელება იგეგმება ხელისუფლების მონაწილეობით.

– გასაგებია, მაგრამ არის რაღაც მომენტები, რომლებზეც კარგად უნდა განმარტონ, რას აკეთებენ ისინი ამ მიმართულებით.

„საპარლამენტო კომიტეტების ოპტიმიზაციაც უნდა მოხდეს“

– სამინისტროების გაერთიანების შემდეგ შესაძლოა, საპარლამენტო კომიტეტების სტრუქტურული ოპტიმიზაციაც მოხდეს, – ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ განაცხადა.

– როდესაც სამინისტროების სტრუქტურული ოპტიმიზაცია ხდება, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს საპარლამენტო კომიტეტების ოპტიმიზაციაც.

საპარლამენტო კომიტეტი არის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს კონკრეტულ სტრუქტურას/სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია კომიტეტის წინაშე. ბუნებრივია, რომ კომიტეტებშიც უნდა მოხდეს დალაგება. ნებისმიერი კომიტეტი ისე უნდა დაიტვირთოს, რომ პასუხობდეს დაკისრებულ ფუნქციას. სამინისტროსა და კომიტეტს შორის თანამშრომლობა ორმხრივია, ერთი მხრივ, ანგარიშგების, მეორე მხრივ, კონტროლის. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, პირიქით, ვფიქრობ, რომ აუცილებელია სამინისტროების, შესაბამისად კომიტეტების ოპტიმიზაცია და, შესაბამისად, ადაპტირებაც უნდა მოხდეს, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

პარლამენტში ამ ეტაპზე 15 კომიტეტია.

არჩილ თალაკვაძე: „ბიზნესს რეინვესტირებისთვის 360 მლნ ლარით მეტი დარჩა“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა: „საგადასახადო რეფორმის შედეგად, კერძო სექტორს, ბიზნესსექტორს, რეინვესტირებისა და შემდგომი განვითარებისთვის, მხოლოდ 2017 წელს დარჩა 360 მლნ ლარით მეტი“.

ფაქტ-მეტრი აღნიშნული განცხადების სიზუსტით დაინტერესდა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის შემოღების მიზნით საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის მაისში მესამე მოსმენით მიიღო. ცვლილება ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან შევიდა. რეფორმის მიხედვით, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი მოგების მხოლოდ განაწილებული ნაწილია, მოგების რეინვესტირებული ნაწილი კი დაბეგვრას აღარ ექვემდებარება.

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების გარეშე, 2017 წელს მოგების გადასახადის სახით 1.2 მლრდ ლარის მობილიზება იქნებოდა შესაძლებელი. დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად კი მოგების გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების გეგმა 2016 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 299 მლნ ლარით შემცირდა და 681 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს შეფასებით, რეფორმის შედეგად, მიმდინარე წლის ბიუჯეტს 519 მლნ ლარი დააკლდებოდა და ეს თანხა ბიზნესში დარჩებოდა. 2017 წლის იანვარ-სექტემბრის ეკონომიკური მიმოხილვის თანახმად, 3 კვარტლის განმავლობაში რეინვესტირების მიზნით ბიზნესისთვის დატოვებული სახსრების მოცულობა 368 მლნ ლარს შეადგენს.

ამავდროულად, ბიზნესში დატოვებულ სახსრებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოგების გადასახადის რეფორმით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკლისის დასაბალანსებლად ხელისუფლებამ აქციზის გადასახადი გაზარდა. მიმდინარე წლის ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების გეგმა 615 მლნ ლარით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და 1.627 მლნ ლარის ნიშნულზეა.

აქციზის გადასახადი ე.წ. არაპირდაპირი გადასახადია და მას მომხმარებელი იხდის, რადგან პროდუქციის ფასშია ასახული. თუმცა, ეს პირობითი (ბუღალტრული მიზნებისთვის) დაყოფაა და რეალურად ნებისმიერი გადასახადის ტვირთი ბიზნესსა და მომხმარებელზე ნაწილდება. აქციზის გადასახადი გაიზარდა ისეთ საქონელზე (სიგარეტი, საწვავი), რომლის მოხმარებაზე მოსახლეობას მაღალი დამოკიდებულება აქვს და ფასის ზრდის გამო მოხმარებას ნაკლებად ამცირებს.

შესაბამისად, გაზრდილი საგადასახადო ტვირთი მომხმარებელმა მეტად გაიზიარა, ვიდრე მწარმოებელმა. შეიძლება ითქვას, რომ მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად ბიზნესსექტორისათვის დამატებითი რესურსის დატოვება, საბოლოო ჯამში, მომხმარებლებისათვის საგადასახადო ტვირთის ზრდის ხარჯზე განხორციელდა. თუმცა, გადაწყვეტილების წმინდა ეკონომიკური ეფექტი თეორიულად დადებითია, რადგან, სხვა თანაბარ პირობებში, ბიზნესის მიერ განკარგული რესურსის ეკონომიკური ეფექტი, აღემატება ფიზიკური პირის მიერ განკარგული იდენტური რესურსის ეკონომიკურ ეფექტს.

ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, საგადასახადო რეფორმის შედეგად 2017 წლის განმავლობაში ეკონომიკაში 519 მლნ ლარით მეტი უნდა დარჩენილიყო. 3 კვარტალის მონაცემებით კი სახელმწიფომ ბიზნესს 368 მლნ ლარით მეტი დაუტოვა. აღნიშნული ცვლილებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკლისი ხელისუფლებამ აქციზის გადასახადის ზრდით დააბალანსა.

მოგების გადასახადის რეფორმის წმინდა ეკონომიკური ეფექტი გრძელვადიან პერიოდში თეორიულად დადებითი იქნება. თუმცა, ბიუჯეტის დანაკლისის აქციზის გადასახადის ზრდით დაბალანსების უკეთესი ალტერნატივა ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციული ხარჯები) შემცირება იქნებოდა, ეს რეფორმის შედეგებს მოკლევადიან პერიოდშიც აშკარად დადებითს გახდიდა.

2018 წლიდან ტექდათვალიერებას, შესაძლოა, მსუბუქი ავტომობილები არ დაექვემდებაროს

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონიდან იმ ნორმის ამოღება ხდება, რომლის მიხედვით, გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირებას 2018 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოში რეგისტრირებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა დაექვემდებაროს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკის სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის განვითარების პოლიტიკის

დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქეთევან სალუქვაძემ განუცხადა, აღნიშნული ცვლილება იმ გადაწყვეტილებამ განაპირობა, რომლითაც 2018 წლის 1-ელი იანვრიდან პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას 8 ადგილზე მეტი ტევადობის სამგზავრო და 3 ტონანახევარზე მეტი მასის ავტოსატრანსპორტო საშუალებები დაექვემდებარება.

– აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დღესაც ექვემდებარებიან. მოგეხსენებათ, სწორედ ეს სატრანსპორტო საშუალებები ყველაზე მეტად ახდენენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას. ისინი ინსპექტირებას ისედაც ექვემდებარებიან, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ არსებობდა გარკვეული ტიპის ხარვეზები აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით, ამასთან იზრდება სტანდარტი და ხდება ევრორეგულაციებთან დაახლოება, მოხდება ტექნიკური ინსპექტირების განსხვავებული სტანდარტებით განხორციელება, სრული პარკის დაფარვა ეტაპობრივად, ორი წლის განმავლობაში განხორციელდება, დაიწერება მეთოდოლოგია, თუ ვის როდის მოუწევს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლა. ეს საზოგადოებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ქეთევან სალუქვაძემ.

მისივე ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ მთავრობას წარედგინება ტექნიკური რეგლამენტი ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებთან, მათ შენობებთან და პერსონალთან დაკავშირებით. სალუქვაძის თქმით, ინსპექტირების ცენტრები, რომლებიც ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ტექნიკური ინსპექტირების გაგრძელებას შეძლებენ. მისივე განმარტებით, ასევე მთავრობა ტექნიკური რეგლამენტით დაადგენს სტანდარტებს, რომლებსაც ავტოსატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს.

– ორივე ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია და მთავრობას უახლოეს მომავალში წარედგინება, – დასძინა ქეთევან სალუქვაძემ.

ეკა ლალიაშვილი: „თბილისის ცენტრში პარკირება ფასიანი უნდა გახდეს“

– თბილისში პარკირების დონეების განსაზღვრა აუცილებელია, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში პარკირება ფასიანი უნდა გახდეს, – ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარემ ეკა ლალიაშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა.

მისივე თქმით, აუცილებლად უნდა გადაიხედოს „სითი პარკთან“ არსებული ხელშეკრულებაც და თუ აუცილებელია, კონტრაქტში ცვლილებები უნდა განხორციელდეს.

დედაქალაქის მთავრობა კომპანია „სითი პარკთან“ დაკავშირებით კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობაზე არაერთხელ საუბრობდა, ჯერ კიდევ დავით ნარმანიას მერობის დროს, კომპანიასა და მერიას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოო შეთანხმება ვერ მოხდა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ „სითი პარკთან“ კონტრაქტი გაწყდა, მერიას კომპანიისთვის ჯარიმის სახით 25 მილიონი ლარის გადახდა მოუწევს. დედაქალაქის ახალი მერის კახა კალაძის განცხადებით კი, გამორიცხული არ არის, რომ მერიამ კომპანია „სითი პარკთან“ სამართლებრივი დავა დაიწყოს.

რამდენად რეალურია, რომ სამართლებრივი გზით მოხდეს პრობლემის მოგვარება, ეკა ლალიაშვილს პასუხი არ აქვს, თუმცა, მისი თქმით, კონტრაქტის გაწყვეტა აუცილებელი არ არის:

– ორივე მხრიდან ნება თუ იქნა, შეიძლება კონტრაქტს წესები ჩაემატოს. იქნებ მართლა ღირდეს ამ მილიონების გადახდა, რომ სხვა კომპანიას სხვა პირობებით შემოსვლა შევთავაზოთ. თუ მხარეები მოილაპარაკებენ, ყველაფერი შესაძლებელია. მერიამ უნდა გვითხრას და დაიანგარიშოს, გვიღირს თუ არა ამ თანხის გადახდა. თუ უფრო დიდი თანხის სარგებელს მოვუტანთ ქალაქს, მაშინ შეიძლება ამ ხარჯის გაწევა ნამდვილად ღირდეს, თუ გვექნება მოლოდინი, რომ რაღაც გაუმჯობესდება.

მისივე თქმით, „სითი პარკი“ იქნება თუ სხვა კომპანია, მთავარია, რომ დედაქალაქის ხელისუფლებამ სწორად იმოქმედოს.

– პარკირების სისტემა მოწესრიგებული არ არის. ბუნებრივია, ვერ დავადანაშაულებთ კომპანიას იმ საკითხში, რომ პარკირების ადგილები ცოტაა. „სითი პარკი“ იქნება თუ სხვა კომპანია, დიდი წილი ტვირთი ხელისუფლებაზე მოდის. თამაშის წესებს სწორედ ის ადგენს, მათ შორის, კერძო კომპანიის არასწორი ქცევის აღსრულებასაც. ამიტომ მერია არის პასუხისმგებელი იმაზე, რასაც დღეს „სითი პარკი“ აკეთებს. „სითი პარკისგან“ გვესმის, რომ კონტრაქტის ფარგლებში მოქმედებენ, კონტრაქტი კი ჯანსაღი არაა. ეს უნდა გამოსწორდეს.

აუცილებელია ფასიანი პარკირების არსებობა ცენტრალურ უბნებში. ეს შეიძლება მოქალაქეებისთვის მტკივნეული იყოს, მაგრამ ქალაქისთვის სასარგებლო იქნება, თუნდაც გარემოს გაუმჯობესებისთვის. დონირება აუცილებლად უნდა მოხდეს და ცენტრალური ნაწილი იყოს განტვირთული. ცენტრში შესვლას ვერავის დავუშლით, მაგრამ იქ უნდა იყოს პარკირების ისეთი ფასი განსაზღვრული, რომ თავად მძღოლმა გადაწყვიტოს, უღირს თუ არა შესვლა და საფასურის გადახდა, – აღნიშნავს ლალიაშვილი.

ამის პარალელურად აუცილებელია ავტობუსების და ტრანსპორტის განვითარება:

– მერიამ უნდა შექმნას ის გარემო, რომ მოქალაქეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა უფრო კომფორტული იყოს და კერძო ავტომობილებით ყოველდღე არ იარონ.

რაც შეეხება მოლოდინებს, ეკა ლალიაშვილის განცხადებით, დედაქალაქის ახალი მერისა და მისი ორგანიზაციის ხედვები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა.

– ახალი მერისგან საკმაოდ დიდი მოლოდინები გვაქვს. მასთან რამდენიმე შეხვედრა გვქონდა და ძირითადად ჩვენი ხედვები ემთხვევა. ახლა იმ რეჟიმში ვართ, რომ ველოდებით, რა იქნება მათი პირველი ნაბიჯები, – აცხადებს ეკა ლალიაშვილი.

ირაკლი იაშვილი: „არასოდეს დაიჯეროთ, რომ ინვესტიციის შემოსვლა რომელიმე ჩინოვნიკის დამსახურებაა“

„მთავრობა რაც პატარაა, უფრო ეფექტურია,“ – ასე აფასებს ბიზნესმენი, „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

მისი თქმით, ცვლილება მისაღები და დროულია. როგორც იაშვილი აცხადებს, მაგალითად, ენერგეტიკის სამინისტრო 2012 წელს იყო გასაუქმებელი, რადგან დღემდე აღნიშნული უწყება აბსოლუტურად უფუნქციოდ არსებობდა.

– ინვესტიციების შემოსვლა სამინისტროს დამსახურება არ არის. არასოდეს არ დაიჯეროთ, რომ ეკონომიკაში ინვესტიციის შემოსვლა რომელიმე ჩინოვნიკის დამსახურებაა. ეს არის მოთხოვნა-მიწოდებიდან გამომდინარე. დარგში თუ ინვესტიციის მოთხოვნაა, აუცილებლად შემოვა. მოხელის ამოცანა და დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს და ინვესტორებს პროცედურები გაუმარტივოს. ენერგეტიკაში ყოველწლიურად ხდება ენერგობალანსების დათვლა – მოხმარებული, წარმოებული, ექსპორტირებული და ასე შემდეგ, ამას პატარა სააგენტოც მშვენივრად გააკეთებს. მიზანშეწონილობის დადგენა ახალი ჰესის აშენების დროს, ამასაც მშვენივრად გაართმევს თავს. ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება აბსოლუტურად ლეგიტიმური და სწორი გადაწყვეტილება იყო, – აცხადებს იაშვილი.

მისივე განცხადებით, მთავრობის მიერ მიღებული სამთავრობო ცვლილებები ოპტიმიზაციაა და ეს გადასახადის გადამხდელისთვის ძალიან კარგია. როგორც იაშვილი აცხადებს, მთავრობა რაც პატარაა, უფრო ეფექტურია, მოხელე უფრო დატვირთულია და ნაკლები თავისუფალი დრო რჩება.

რაც შეეხება იმას, რომ განხორციელებული სამთავრობო ცვლილებები საჯარო სტრუქტურებში თანამშრომლების შემცირებას ავტომატურად გამოიწვევს და კიდევ უფრო გაზრდის უმუშევრობის მაჩვენებელს ქვეყანაში, იაშვილი აცხადებს, რომ ეს მძიმე იქნება, თუმცა, სხვა გამოსავალი არ არსებობს.

– კერძო ბიზნესში ვინმე ამუშავებს ადამიანს, რომელიც არ სჭირდება? ტყუილად ვინმე ვინმეს ხელფასს გადაუხდის? 1 ადამიანიც რომ დარჩეს ხელფასის და შემოსავლის გარეშე, მძიმეა, მაგრამ სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია ხომ არ აკისრია? საშტატო ერთეული, რომელიც არ არის აუცილებელი და საჭირო, იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ხელფასი გადაუხადონ ადამიანს? ეს გამორიცხულია. ოპტიმიზაცია დღეს სწორი ნაბიჯია. ხომ ჯობია, რომ სახელფასო ფონდი დარჩეს იგივე, მაგრამ უკეთესი სპეციალისტები მოვიდნენ, – აცხადებს იაშვილი.

თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, საქართველოს პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ დიდი ოდენობით ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე მოქალაქე ზ.თ. დააკავა.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ზ.თ. ბრალდებულ ტ.მ.-ს ძმას გაეცნო, როგორც პროკურატურის თანამშრომელი და დაარწმუნა, თითქოს ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებთან, 10.000 ლარის გადახდის სანაცვლოდ ტ.მ.-ს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდებოდა და პატიმრობიდან გათავისუფლდებოდა.

დაზარალებული ზ.თ.-ს მოთხოვნას დათანხმდა და 10.000 აშშ დოლარი და 10.000 ლარი სრულად გადაუხადა, ხოლო ზ.თ. აღნიშნულ თანხას მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან ათ წლამდე. დაკავებულს ბრალდება წარედგინება კანონით დადგენილ ვადებში და პროკურატურა სასამართლოს მიმართავს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნით.

მივმართავთ საზოგადოებას, მსგავსი უკანონო ფაქტების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციას, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ოჯახში ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს ახალსოფლის განყოფილების თანამშრომლებმა ოჯახში ძალადობის ბრალდებით 1979 წელს დაბადებული ო.წ. დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ყოფილ მეუღლეს, 1985 წელს დაბადებულ ე.ნ.-ს, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მათივე ცნობით, ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებისას ო.წ. ტეტრაჰიდროკანაბინოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახში ძალადობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ქეთევან წამებულის ქუჩაზე სახლისა და გზის გამყოფი კედელი ჩაინგრა

თბილისში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლსა და გზას შორის არსებული კედელი ჩაინგრა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც ქეთევან წამებულის ქუჩის მცხოვრებლები ამბობენ, მათი სახლები ავარიულ მდგომარეობაშია.

ისინი მთავრობისგან დროულ რეაგირებასა და დახმარებას ითხოვენ.

გიორგი მღებრიშვილი პოლიციელებს მიმართავს

შს ყოფილი მინისტრი გიორგი მღებრიშვილი პოლიციელებს მიმართავს. ის თავის ორწლიან საქმიანობას აჯამებს და მადლობას უხდის პოლიციელებს, მესაზღვრეებს, მაშველებს, ჯარისკაცებს, სამინისტროს თანამშრომლებს, ასევე წარმატებებს უსურვებს ახალ მინისტრ გიორგი გახარიას მომავალ საქმიანობაში.

– ჩემო პოლიციელებო, ძვირფასო მოქალაქეებო! ჩემთვის დიდი პატივი იყო, 2 წლის განმავლობაში მემსახურა თქვენთან ერთად და მემსახურა თქვენი უსაფრთხოებისთვის! ეს იყო გამოწვევებით სავსე 2 წელი. ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა და დიდი ვალდებულება ჩვენი მოქალაქეების, ჩემი თანამშრომლების და მათი ოჯახების წინაშე! მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს ამ ნდობისთვის, მხარდაჭერისთვის. მადლობა ჩემს გუნდს, რომ ყველაზე რთულ მომენტებში, ჩემ მხარდამხარ, 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა იმისთვის, რომ ღირსეულად გავმკლავებოდით გამოწვევებს, განგვეხორციელებინა 21-ე საუკუნის პოლიციის იდეა. ეს გრძელვადიანი პროცესია, თუმცა მისი საფუძველი, ძლიერი ფუნდამენტი უკვე ჩაყრილია. ამ წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა და ბევრი ინოვაციური პროექტი დანერგა. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი ახალი ყაიდის, მაღალტექნოლოგიური პოლიციისკენ და ამ რეფორმის შედეგებს თითოეული ჩვენი მოქალაქე იგრძნობს. შეიქმნა ერთობლივი ოპერაციების მაღალტექნოლოგიური და მულტიფუნქციური ცენტრი, რომლის ანალოგი სულ რამდენიმე, მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშია; დაიწყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომლის პირველი შედეგები უკვე სახეზეა; 2017 წელს ჩვენ ხელი მოვაწერეთ მაღალი დონის შეთანხმებას ევროპოლთან, რითაც საქართველოს შს სამინისტრო ევროპის საპოლიციო ოჯახის ნაწილი გახდა; საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის უპრეცედენტოდ გაფართოებამ, პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო ორმხრივმა ურთიერთობებმა, პოლიციის ატაშეების დანიშვნამ, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულებამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებაში; სამინისტროს არაერთი დანაყოფი გაწევრიანდა პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში; ახლახან ევროკომისიამ დადებითად შეაფასა ჩვენ მიერ დაწყებული პროექტები, როგორიცაა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიცია; ჩვენი უცხოელი პარტნიორები მაღალ შეფასებას აძლევენ შსს-ს მიერ განხორციელებულ სამუშაოს ორგანიზებული დანაშაულის, „კანონიერი ქურდების“, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით; 2016 წელს შსს-ს საპატრულო პოლიციამ დაიწყო ახალი წარმატებული პროექტი – მოთხილამურე პატრული. სამთო-სათხილამურო პატრულებმა უკვე 500-ზე მეტ საქართველოს მოქალაქეს და ქვეყნის სტუმარს აღმოუჩინეს დახმარება; 2015-2017 წლებში 112-მა, თავისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ინოვაციური, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სერვისები დანერგა; მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სასაზღვრო პოლიციაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, შსს-ს აკადემიაში, მომსახურების სააგენტოში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში... რომელთა ჩამოთვლითაც ახლა თავს არ შეგაწყენთ, – აცხადებს მღებრიშვილი.

მისივე თქმით, უმჯობესია, გაკეთებული საქმეები პროფესიონალებმა შეაფასონ.

– მე მჯერა ამ პროგრესის, დაწყებული რეფორმების შეუქცევადობის. მჯერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის სიტყვას ამბობს და მომავალშიც იტყვის ქვეყნის განვითარების საქმეში. მინდა, იცოდეთ, რომ ეს უწყება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტია და მას თქვენი, საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება. მინდა, გთხოვოთ, უფრო მეტად დააფასოთ პოლიციელების შრომა, მათი ოჯახების მიერ გაღებული მსხვერპლი და მათი წვლილი ქვეყნის უსაფრთხოების საქმეში. თქვენ უკან 40 ათასამდე ადამიანია. მათი უდიდესი უმრავლესობა ღირსეული და საქმისთვის გულანთებული პოლიციელია. ისინი ყოველთვის თქვენ გვერდით იდგებიან მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გჭირდებათ. ვიცი, რომ თქვენც მათი იმედი გაქვთ, როცა საფრთხის პირისპირ რჩებით... მადლობას ვუხდი ჩვენს პოლიციელებს, მესაზღვრეებს, მაშველებს, ჯარისკაცებს, სამინისტროს თანამშრომლებს... ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ 2 წელი მათთან ერთად ვემსახურებოდი საქართველოს! შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას კი წარმატებას ვუსურვებ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეში. ის მაღალი დონის, პროფესიონალი მენეჯერია, პრინციპული პიროვნება და მჯერა, რომ იქნება ღირსეული შინაგან საქმეთა მინისტრი, – აცხადებს გიორგი მღებრიშვილი.

სახალხო დამცველად ანა ნაცვლიშვილის კანდიდატურა განიხილება

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა“ ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი ადასტურებს, რომ სახალხო დამცველის პოსტზე მისი კანდიდატურა განიხილება.

როგორც ნაცვლიშვილი აცხადებს, ის მზად არის, გამოწვევა მიიღოს.

– ვადასტურებ, რომ განიხილება ჩემი კანდიდატურა სახალხო დამცველის პოზიციაზე. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემთვის პატივსაცემმა არაერთმა ადამიანმა და ჯგუფმა მომიაზრა ამ პოზიციაზე. მზად ვარ, მივიღო ეს გამოწვევა და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს (პარლამენტს) თუ ფართო საზოგადოებას უფრო დეტალურად ვესაუბრო ჩემს ხედვებსა და მიზნებზე შესაბამის ფორმატში, – აცხადებს ანა ნაცვლიშვილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიციური ფრაქციები სახალხო დამცველის კანდიდატურას პარლამენტს არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციების საფუძველზე წარუდგენენ.

არსებული ცნობით, განიხილება არასამთავრობო სექტორიდან რამდენიმე კანდიდატურა, მათ შორის ანა ნაცვლიშვილისა და ვახუშტი მენაბდის.

სახელმწიფო ქონების მითვისება გზებისა და სახურავის შეკეთების დროს – დაკავებულია ორი კომპანიის ხელმძღვანელი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისებისა და მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი კომპანიის ხელმძღვანელი ამხილა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა, ახალციხის მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოების დროს, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ხელოვნურად გაზარდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 130.785 ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბრალდებულმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მაღალი ხარისხის მასალის ნაცვლად, დაბალი ხარისხის და ნაკლები მოცულობის მასალა გამოიყენა, რა გზითაც, მოტყუებით დაეუფლა 9.257 ლარს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე და 180-ე მუხლის მეორე ნაწილებით. ამ ეტაპზე, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა – მხილების და ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით,“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

23.600 დოლარის გამოძალვისთვის 2 პირს 5-5 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვაში ბრალდებულები გ.გ, გ.ო და ბ.დ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2016 წლის ნოემბერში, გ.გ, ბ.დ. და გ.ო. ქ.რუსთავში შეხვდნენ ჯ.მ.-ს, მიაყენეს მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ჯ.მ.-ს 23.600 აშშ დოლარი მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.

აღნიშნულის შემდეგ ბრალდებულები სისტემატურად უკავშირდებოდნენ ჯ.მ.-ს და მისგან თანხის დროულად მიტანას ითხოვდნენ.

სამართალდამცველებმა გ.გ, ბ.დ. და გ.ო. 2017 წლის 8 თებერვალს ქ.თბილისში დააკავეს. მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (გამოძალვა ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

თბილისში მინიმარკეტი გაქურდეს

თბილისში მინიმარკეტი გაქურდეს. ვარკეთილში მდებარე სუპერმარკეტში მისულ თანამშრომლებს თანხა წაღებული დახვდათ. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ.

ტერეზა მეი პუტინს: „ვიცით, რაც გინდათ, მაგრამ ამას ვერ მიაღწევთ“

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ რუსეთის ხელისუფლება არჩევნებში ჩარევასა და კიბერშეტევაში დაადანაშაულა.

მისი თქმით, ვლადიმერ პუტინი ცდილობს, „ძირი გამოუთხაროს თავისუფალ საზოგადოებას“.

– რუსეთი „ფეიქ ნიუსებს“ ავრცელებს, რათა დასავლეთში განხეთქილებას შეუწყოს ხელი. ლონდონს არ სურს მუდმივი კონფრონტაცია რუსეთთან, თუმცა ბრიტანეთი თავის ინტერესებს დაიცავს, – განაცხადა ტერეზა მეიმ.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, მისი პუტინისადმი მესიჯი მარტივია: მან სხვა გზა უნდა შეარჩიოს და არა ის გზა, რომლითაც მოხდა ყირიმის ანექსია და ევროპის ქვეყნებზე კიბერშეტევების განხორციელება.

– რუსეთი შეიძლება გახდეს დასავლეთის ღირებული პარტნიორი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ წესების მიხედვით ითამაშებს, – აღნიშნა მეიმ.

მისი თქმით, რუსეთმა არაერთხელ დაარღვია ევროპული ქვეყნების საჰაერო სივრცე და განხეთქილებისა და კიბერშეტევის კამპანიას მიზანმიმართულად ატარებდა.

– ვიცით, რაც გინდათ, მაგრამ ამას ვერ მიაღწევთ, ვინაიდან სათანადოდ ვერ აფასებთ ჩვენი დემოკრატიის მდგრადობას, – დასძინა მან.

ტრამპი: „დუტერტესთან ურთიერთობით კმაყოფილი ვარ!“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ფილიპინების პრეზიდენტ დუტერტესთან შესანიშნავი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა.

– დუტერტესთან ურთიერთობებით კმაყოფილი ვარ, – თქვა ტრამპმა.

აღსანიშნავია, რომ ფილიპინების პრეზიდენტს ადამიანის უფლებების დარღვევისათვის მთელი მსოფლიო აკრიტიკებს. ტრამპის წინამორბედი ბარაქ ობამაც ამას საჯაროდ აღნიშნავდა.

მიუხედავად დითირამბებისა, მანილაში ანტიამერიკული დემონსტრაცია მაინც გაიმართა.

მანიფესტანტებს მოჰქონდათ ტრამპის კარიკატურა, აგრეთვე ანტიამერიკული, ანტიდემოკრატიული ლოზუნგები.

აშშ სირიიდან ჯარის გაყვანას არ აპირებს

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მატისმა განაცხადა, რომ ამერიკული არმია სირიას არ დატოვებს:

– სანამ ჟენევის პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულამდე არ მივა, სირიას არ დავტოვებთ, –ამბობს მატისი.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ამ სიტყვებმა კრემლის უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ მატისის სიტყვები ტრამპის პოზიციასთან წინააღმდეგობაში მოდის. აშშ-ის პრეზიდენტმა ხომ პუტინთან ერთად ხელი მოაწერა განცხადებას სირიის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ. ლავროვმა თქვა, რომ ამერიკელთა დახმარებით სირიაში ქურთების ანკლავი ჩამოყალიბდა, რიგ ტერიტორიებზე ანტიასადელი პარტიზანები გამაგრდნენ, ეს კი სირიის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას გამორიცხავს.

– სირიის კანონიერი პრეზიდენტი ასადი ამერიკული არმიის გაყვანას მოითხოვს. ქურთული თუ სხვა ანკლავების შექმნა კი სირიის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა, – ამბობს ლავროვი.

ტრამპის გუნდის ზოგიერთი წევრი რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას მხარს უჭერს.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა სტივენ მნიჩინმა განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება აუცილებელია. მისი აზრით, მოსკოვის გარეშე ვერც სირიის, ვერც ჩრდილოეთ კორეის პრობლემა ვერ გადაწყდება.

– ის, რომ რუსეთი ჩვენს არჩევნებში ჩაერია, სიმართლეს არ შეესაბამება, – ამბობს მნიჩინი.

რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება სანქციების შესუსტების ან სულაც გაუქმების გარეშე ვერ მოხერხდება. ამას კი ეწინააღმდეგებიან როგორც კონგრესი და სენატი, ასევე ტრამპის გუნდის ისეთი გავლენიანი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, სახელმწიფო მდივანი ტილერსონი, თავდაცვის მინისტრი მატისი. ტრამპს აკრიტიკებს სენატორი მაკეინი, სხვა ცნობილი პოლიტიკოსები, ექსპერტები.

– რასაკვირველია, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება კარგია, მაგრამ სანამ მოსკოვი თავის აგრესიულ პოლიტიკას თავს არ დაანებებს, ეს შეუძლებელია! სამწუხაროდ, მისტერ ტრამპს ეს არ ესმის, – ამბობს ბრუკლინის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი სტივენ პეიფერი.

პუტინი სოჭში ერდოღანს შეხვდა

სოჭში ერთმანეთს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და თურქეთის ლიდერი რეჯებ ერდოღანი შეხვდნენ.

– რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები მთლიანად აღდგა, – თქვა პუტინმა.

ერდოღანმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებებით კმაყოფილია. თურქეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ პუტინთან სირიაში ვითარების დარეგულირების საკითხი შეათანხმა.

ექსპერტები ამას ეჭვქვეშ აყენებენ. მოსკოვი დიქტატორ ასადს მხარს უჭერს, ანკარა კი მის წინააღმდეგ გამოდის და პროთურქულად განწყობილ პარტიზანებს აიარაღებს. შესაბამისად გაუგებარია, თუ როგორ შეძლებენ რუსეთი და თურქეთი სირიაში სიტუაციის ერთობლივად დარეგულირებას. ერდოღანის განცხადებამაც, რომელიც მან პუტინთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა, ეს გარკვეულწილად დაადასტურა:

– სირია როგორც რუსეთის, ასევე ამერიკის არმიებმა უნდა დატოვონ!

რუსეთი კატალონიელ სეპარატისტებს ეხმარებოდა

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დასტისმა განაცხადა, რომ მოსკოვი მისი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაერია, კერძოდ, ის კატალონიელ სეპარატისტებს ეხმარებოდა.

– ჩვენ ამის დამამტკიცებელი საბუთები გაგვაჩნია, – ამბობს დასტისი.

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, მას თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან ამაზე საუბარი უკვე ჰქონდა. ლავროვმა, ბუნებრივია, ბრალდება უარყო.

თავად კატალონიელი სეპარატისტების ლიდერი პუჩდემონი რუსეთის ჩარევას კატეგორიულად უარყოფს.

– ჩვენ არც ერთი გარეშე ძალა არ გვეხმარებოდა, მათ შორის არც რუსეთი, – თქვა პუჩდემონმა.

პუჩდემონმა უკანასკნელ ხანს მოსკოვში ვოიაჟებს მოუხშირა. ბარსელონასა და სხვა ქალაქებში ჩატარებულ სეპარატისტთა მიტინგებზე კი არარსებული სახელმწიფოს, სსრკ-ს, დროშა ფრიალებდა. გაისმოდა რუსული სიმღერები „კატიუშა“, „ფართოა ჩემი მშობლიური ქვეყანა“ და ა.შ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ევროკავშირის ქვეყნებმა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება გააფორმეს

ბრიუსელში ევროკავშირში შემავალი ქვეყნების თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. ხელი მოეწერა შეთანხმებას თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმების მიზანი რუსული აგრესიისაგან თავის დაცვაა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი – დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ექსპერიმენტული ფრე — რა დაინახა ვაისმა საქართველოს რეზერვში

საქართველო-ბელარუსი 2:2

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 სტასევიჩი (24), 1:1 სიხარულიძე (35), 2:1 დვალი (49), 2:2 ნეხაიჩიკი (66)

საქართველო: კვასხვაძე, გეგეჭკორი (კაკაბაძე 87), ხოჭოლავა, კაშია (დვალი 46), შერგელაშვილი, კანკავა (მერებაშვილი 62), აბურჯანია, გვილია (კაჭარავა 87), პაპუნაშვილი, ჯიღაური (ქვილითაია 62), სიხარულიძე (ყაზაიშვილი 80)

ბელარუსი: იგნატოვიჩი (პავლიუჩენკო 46), ბიკოვი, გავრილოვიჩი, კარნიცკი (ნიხაიჩიკი 57), კორზუნი, კოვალიოვი (კლიმოვიჩი 81), ლაპტევი, პოლიაკოვი, რიოსი, სტასევიჩი (პაულავეტცი 89), ვოლოდკო (მატვეიჩუკი 63)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ქუთაისში 2:2 ითამაშა ბელარუსთან. ეს არ არის ტრაგედია, თუმცა, პრობლემები კიდევ უფრო მრავლად გამოჩნდა. მივყვეთ თანმიმდევრულად...

კვიპროსთან მოგების შემდეგ ვლადიმირ ვაისმა ძირითად შემადგენლობაში 7 ფეხბურთელი შეცვალა. წინა თერთმეტეულიდან ამჯერად მხოლოდ გურამ კაშიამ, დავით ხოჭოლავამ, ჯაბა კანკავამ და გიორგი პაპუნაშვილმა დაიწყეს. ამ ოთხეულიდანაც გამადიდებელი შუშის ქვეშ 2 მათგანი უნდა მდგარიყო – ხოჭოლავა და პაპუნაშვილი, რომელმაც სრული დრო მიეცათ, ხოლო კაპიტანი და ვიცეკაპიტანი თამაშის მსვლელობისას შეიცვალა.

საინტერესო სანახავი იყო ფლანგის მცველები – ლევან გეგეჭკორი და ლაშა შერგელაშვილი. შესაძლოა, მათი არცთუ დამაჯერებელი თამაში სანაკრებო მღელვარების ბრალი იყო და ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ორივე მათგანმა კარგად ითამაშა. ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდა გეგეჭკორი, ხოლო შერგელაშვილი სტანდარტულებს ასრულებდა კარგად, დაცვაში კი პოზიციური შეცდომები მრავლად ჰქონდა. ფეხბურთი კი ხელბურთი, ფრენბურთი ან ისეთი სპორტის სახეობა არ არის, რომ მოედანზე ვინმე მარტო სტანდარტულების შესრულების დროს შეუშვან. თუმცა, შერგელაშვილს შანსი ისევ მიეცემა და ვნახოთ, რა იქნება მომავალში. გეგეჭკორი კი ოთარ კაკაბაძის შემცვლელად უნდა მოვიაზროთ გაჭირვების ჟამს...

ლაშა დვალი... ცენტრალური მცველი, რომელმაც პირველი ტაიმის შემდეგ გურამ კაშია შეცვალა და მალევე გოლიც გაიტანა, თუმცა უამრავი შეცდომა როგორც დაცვაში, ისე გოლის დროს გამოხატულ ჟესტში – დვალმა გატანილი გოლის შემდეგ ვაისთან მიირბინა, ზურგით დაუდგა და ხელით ნომერზე და გვარზე მიუთითა. დვალი ცენტრალურ მცველებს შორის აქამდეც მე-4 ან მე-5 ნომრად ითვლებოდა, ამიტომ არ არის გამორიცხული ამ თამაშის შემდეგ ვაისმა მისი გამოძახება საერთოდ არ მოისურვოს.

ხოჭოლავამ ზედიზედ მე-2 მატჩი სრულად ჩაატარა ძირითადში. შახტარის მცველი კვიპროსელებთან უფრო დამაჯერებელი იყო. ბელარუსებთან პირველ ტაიმშიც უკეთესად გამოიყურებოდა, კაშიას შეცვლის შემდეგ კი შეცდომებს უმატა.

გიორგი აბურჯანია – ფეხბურთელი, რომელიც მოედნის ცენტრში კარგად იდგა ჯაბა კანკავასა და ვაკო გვილიასთან ერთად. ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო ქართველ ფეხბურთელთაგან ქუთაისში ჩატარებულ მატჩში.

კანკავა ისევ ჩვეულად ირჯებოდა, გვილიას კი ეტყობა უთამაშებლობა. თუ პირველ ტაიმში მეტნაკლებად კარგად გამოიყურებოდა, შემდეგ დაიღალა კიდეც და შეცდომებსაც უმატა.

გიორგი პაპუნაშვილი – ბევრის აღებას ცდილობს საკუთარ თავზე და ეს იშვიათად გამოდის, რადგან შეცდომები მეტი აქვს და არ უყვარს ბურთთან დროულად განშორება. მისი სანაკრებო მომავალი ვაისზეა დამოკიდებული.

ჯაბა ჯიღაური – თითქოს საფეხბურთო ინტელექტი არ აკლია, მაგრამ საშემსრულებლო ოსტატობა აშკარად აკლია. როგორც ჩანს, ვაისს მოსწონს მოედანზე სწორად მოაზროვნე ფეხბურთელები და ამიტომაც აძლევს ბევრ შანსს, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით რომ იმსახურებს...

ირაკლი სიხარულიძე – ეროვნული ლიგის ბომბარდირმა გოლით გამოიჩინა თავი. სიხარულიძემ თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა, კიდევ ჰქონდა მომენტი, მაგრამ მეკარემ აუღო. ვფიქრობთ, ვაისი კიდევ გამოიძახებს და მისცემს შანსს...

გიორგი მერებაშვილს გულშემატკივრები კარგად იცნობენ. ბელარუსთან ვერ შემოვიდა როგორც საჭიროა – თითქოს ამწვავებდა, მაგრამ ვერ ასრულებდა. თან მუშა ფეხი მარტო მარჯვენა აქვს და ესეც უქმნის პრობლემებს.

უფრო გასაკვირი იყო კაჭარავას მცირე დრო ორივე მატჩში. შეიძლება ითქვას, კაჭო „გაგიჟებული“ ჩამოვიდა სანაკრებოდ. პოლონეთში ბოლო ტურებში გოლებიც გაიტანა, პასებიც არიგა და პენალტიც მოიპოვა...

გიორგი ქვილითაიას პიროვნულად არაფერს ვერჩით, მაგრამ უკეთესი ფორვარდი რომ არ გვყავს, სხვა რა უნდა ვთქვათ. თავდამსხმელის მოვალეობა გოლების გატანაა...

მოკლედ, ვიზეც საჭირო იყო, კონკრეტულად ვილაპარაკეთ, თუმცა ეს მხოლოდ ქუთაისური მატჩის შეფასება იყო და ერთჯერადი...

ვაისზეც გვინდა ვთქვათ: მწვრთნელმა კარგად გამოიყენა ეს სანაკრებო მატჩები, ბევრი ფეხბურთელიც გამოცადა და დაინახა სად რა პრობლემაა. რამდენიმე ვარიანტიც მოსინჯა: კერძოდ, 1:1-ზე, შეტევა გააძლიერა – მოხსნა კანკავა და მის ნაცვლად შეუშვა ქვილითაია, რის გამოც მარცხენა ფლანგზე გადასვლა მოუწია სიხარულიძეს, რაც მისთვის უჩვეულო აღმოჩნდა და არცთუ ეფექტურად გაისარჯა. აქ ვაისმა ექსპერიმენტი უფრო ჩაატარა... შემდეგ სიხარულიძე ყაზაიშვილით ჩაანაცვლა და მარცხენა ფლანგზე უკვე მერებაშვილი დადგა, ხოლო ყაზაიშვილი – მარჯვნივ. ბოლოს კიდევ ერთი საყრდენი, გვილია გაიყვანა მოედნიდან და ფორვარდი კაჭარავა შეიყვანა, მაგრამ დროც აღარ იყო.

მატჩის შემდეგ **ვლადიმირ ვაისმა** მოკლე კომენტარი გააკეთა:

– ბელორუსთან კარგი მატჩი გამოვიდა, რომელმაც კარგ მხარესთან ერთად ის ხარვეზებიც წარმოაჩინა, რომლის გამოსასწორებლადაც უნდა ვიმუშაოთ. შეხვედრა მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. მონდომება არც ერთ ფეხბურთელს არ დაეწუნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გოლი გავუშვით, ანგარიში გავათანაბრეთ და დავწინაურდით კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ. რაც შეეხება კაშიას ცვლილებას, მას სანაკრებო და საკლუბო დონეზე ბევრი თამაში უწევს და თავად მთხოვა გამოცვლა.

იგორ კრიუშენკო, ბელარუსის მთავარი მწვრთნელი:

– კარგი თამაში იყო. იყო ბრძოლა. შევხვდით სომხეთის ნაკრებზე ოდნავ სუსტ მეტოქეს. მაღალ პრესინგს ფლანგების მოშიშვლების შიშით მოვერიდეთ. წუნი ახლაც ბევრი გვქონდა. იდეალურად არ გავრჯილვართ. პირველი გოლი იმიტომ გავუშვით, რომ ბურთის ატანის ნაცვლად უკან გავაკეთეთ გადაცემა. შედეგად, კუთხური მივიღეთ. კუთხურს კი გოლი მოყვა. შეცდომები საკმაოდ გვქონდა. მიუხედავად ამისა, დავინახე ერთიანი გუნდი. ამან გამახარა. პირველ ტაიმში შეტევა არ გამოგვივიდა, ხოლო მეორეში მეტოქის დაცვაში თავისუფალი ზონები გაჩნდა და იერიშების მიტანა გაგვიადვილდა. რატომ ვაწუხებდით მათ მეკარეს იშვიათად? გადაცემები არ გამოგვდიოდა. ამიტომ ვერ ვასრულებდით შეტევებს ლოგიკურად. ორი მომენტიდან ორივე გამოვიყენეთ.

იტალია მუნდიალზე ვერ მოხვდა. გუნდი ლიდერებმა დატოვეს

1958 წლის შემდეგ იტალიის ნაკრები მუნდიალის გარეშე დარჩა. ეს ორრაუნდიანი პლეი ოფის შემდეგ გაირკვა: სკუადრა აძურამ სტუმრად 0:1 წააგო შვედეთთან, შინ კი ვერაფერი გააწყო და ფრეს, 0:0 დასჯერდა. რუსეთში 2018 წელს შვედეთი იასპარეზებს.

ამ კრახის შემდეგ იტალიის ნაკრების ფეხბურთელებმა: ჯიჯი ბუფონმა, დანიელე დე როსმა, ჯორჯო კიელინიმ და ანდრეა ბარძალიმ ეროვნულ ნაკრებში კარიერა დაასრულეს, მიზეზი კი სწორედ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერმოხვედრა გახდა.

ჯიჯი ბუფონი:

– მთელი იტალიური ფეხბურთის მაგივრად მინდა ბოდიში მოვიხადო. ვერ მოვახერხეთ ამოცანის გადაჭრა. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე დავასრულეთ შესარჩევი ციკლი. ფეხბურთელებმა იციან, რა რთულია პლეი ოფის შეხვედრები. ვერ ვაჩვენეთ ჩვენი საუკეთესო თამაში. გადამწყვეტ მომენტებში არც გაგვიმართლა. ჩვენ გვაქვს სიამაყე, ძალა და ჯიუტები ვართ. ვიცით, როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. მე მივდივარ ნაკრებიდან. მიყვარხართ ყველა, განსაკუთრებით ისინი, ვისთან ერთადაც ეროვნულ გუნდში ამდენი წელი გავატარე.

შეგახსენებთ, ბუფონი, ბარძალი და დე როსი 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. კიელინი ნაკრებში ყოფნის დროს, 2012 წელს ევროპის ვიცეჩემპიონი და 2013 წელს კონფედერაციის თასზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ზაზასა და გოლდენის წარმატებული სერია გრძელდება



ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა ორლანდო მეჯიქს უმასპინძლა და ანგარიშით 110:100 დაამარცხა. ეს „მეომრების“ ზედიზედ მე-7 გამარჯვებაა.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 14 წუთი გაატარა. ამ დროის მანძილზე ზაზამ 4 ქულა, 8 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. ჩვენებურმა ორჯერ შეუტია კალათს და ორივე ჩააგდო.

11 მოგებითა და 3 წაგებით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციაში კვლავ პირველ ადგილზეა.

მომდევნო შეხვედრას ზაზა ფაჩულიას გუნდი სტუმრად ბოსტონთან გამართავს.

რუმინეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი ჩაატარა გიორგი ცინცაძის პოლიტექნიკამ და ზედიზედ მე-6 მატჩი წააგო.

იაშელები ფიბა-ს ევროპის თასზე თბილისის დინამოს ერთერთ მეტოქე კლუჟ-ნაპოკას ესტუმრნენ და რუმინული პირველობის უმთავრეს ფავორიტთან 60:89 განადგურდნენ.

პირველად მიმდინარე სეზონში გიორგი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 18 წუთში კი 4 ქულა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

ქართველმა ლეგიონერმა 4-დან 1 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

პოლიტექნიკა 6 მარცხით სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე იმყოფება, მომდევნო შეხვედრას კი, შინ სტიაუასთან გამართავს.

კალათბურთის ფედერაციამ არჩევნები დანიშნა და კვოტები დაადგინა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საერთო საარჩევნო კრების ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 11 დეკემბერი, 13 საათი. კრება გაიმართება ქორთიარდ მარიოტის საკონფერენციო დარბაზში.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების განცხადებების მიღება დაიწყება დღეიდან და 5 დეკემბრამდე გასტანს.

პრეზიდენტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

სრულუფლებიანი-ხმის უფლების მქონე წევრი ორგანიზაციის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგინება წერილობითი სახით საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციაში.

პრეზიდენტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ავტობიოგრაფია და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შედეგები

13 ნოემბერი

ფეხბურთი

ეჩ-2019. შესახჩევი ეტაპი (21)

საბერძნეთი-ხორვატია	1:1
სლოვენია-საფრანგეთი	1:3

მჩ-2018. შესახჩევი ეტაპი

პლეი ოფი

იტალია-შვედეთი	0:0

ამხანაგური მატჩები

სომხეთი-კვიპროსი	3:2
ვენესუელა-ირანი	0:1
საქართველო-ბელარუსი	2:2
ბულგარეთი-.სარაბეთი	1:0
თურქეთი-ალბანეთი	2:3
კოსოვო-ლატვია	4:3
პოლონეთი-მექსიკა	0:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კადისი-რეუსი	1:0

როგორც ცნობილია 2017 წელი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისათვის წარმოადგენს საარჩევნო წელს, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდებით განსაზღვრულია საერთო კრებაზე წარმოსადგენი სრულუფლებიანი-ხმის უფლების მქონე დელეგატების ხმათა რაოდენობები შემდგომი თანაფარდობით:

სუპერლიგაში მოასპარეზე კლუბები – 30%
რეგიონული ფედერაციები – 30%
საკალათბურთო სკოლები – 10%
დაბალ ლიგაში მოასპარეზე კლუბები – 5%
მსაჯთა კავშირი – 5%
მწვრთნელთა კავშირი – 5%
ვეტერანთა კავშირი – 5%
ქალთა საკალათბურთო ორგანიზაციები – 5%
მოთამაშეთა საკალათბურთო ორგანიზაციები/გაერთიანებები – 5%

გამგეობის მიერ დადგენილ იქნა ხმის უფლების მქონე წევრების ჩამონათვალი და მათი ხმისათვის მისანიჭებელი პროცენტის ოდენობა დაფუძნებული მათ საკალათბურთო აქტივობასა და პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე.

დრაქსლერი ბაიერნში არ მიდის

მას შემდეგ, რაც საფეხბურთო კლუბ პარ სენ ჟერმენს ნეიმარი და კილიან მბაპე შეუერთდნენ, ნაკლები სათამაშო დრო ეძლევა იულიან დრაქსლერს. ამიტომაც იყო, რომ ევროპული პრესა მისი ფრანგული კლუბიდან წასვლაზე ალაპარაკდა.

უფრო კონკრეტულად კი, რამდენიმე დღის წინ, დასავლურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიუნხენის ბაიერნი დაინტერესებულია დრექსლერის ტრანსფერით, ფრანკ რიბერის შემცვლელად მოიაზრებს და აპირებს პარიზულ გრანდს, კონკრეტული წინადადებითაც მიმართოს.

თუმცა, თავად გერმანელი ნახევარმცველი ერთ-ერთ ინტერვიუში საკუთარ მომავლზე საუბრობს.

24 წლის ფეხბურთელის განცხადებით, იგი უახლოეს მომავალში პარიზული კლუბის დატოვებას არ გეგმავს და აღნიშნულ კლუბთან ერთად მაღალი მიზნებისათვის ბრძოლას აპირებს.

იულიან დრაქსლერი:

– არც ზამთრის და არც ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში კლუბის დატოვებას არ ვფიქრობ. მთლიანად კონცენტრირებული ვარ იმ მაღალ მიზნებზე, რომელიც პარი სენ ჟერმენის წინაშე დგას. ახლა არ არის შესაფერისი დრო, რომ საკუთარ მომავალზე ვიფიქრო, თუმცა, რა თქმა უნდა, ბუნდესლიგა ყოველთვის საინტერესოა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

„მშვენიერი, შორეული და მომაჯადოებელი სვანეთი“

ბრიტანელი მოგზაურის სტატია საქართველოზე

ბრიტანულმა გამოცემა თჰე თიმეს-მა მწერლისა და მოგზაურის, სტენლი სტიუარტის სტატია გამოაქვეყნა სათაურით – „მგზნებარე მოგზაურობა საქართველოში“. ავტორი საქართველოს არაერთ ქალაქს ეწვია, თუმცა მისი ვიზიტის გამორჩეულად საინტერესო ნაწილი სვანეთს უკავშირდება.

– კარგი მსმელების, მონდომებული მაჭანკლებისა და ცად აღმართულ ტაძარში მცხოვრები ბერების შორეული მხარე, – ასე აღწერა ავტორმა საქართველო. ხოლო რატომ და რით იყო გამორჩეული მისი მოგზაურობა საქართველოში, განსაკუთრებით კი სვანეთში, თავად სტენლი სტიუარტის სტატიის ქართულ თარგმანში შეგიძლიათ იხილოთ.

უშგულისაკენ მიმავალ გზაზე ხანდაზმულ წყვილს შევხვდი. შვილისთვის საცოლეს ეძებდნენ.

ევროპის ყველაზე მაღალი სოფლისკენ მიმავალ გზაზე, სვანეთის ველურ მთებში, ბუთულის და თამარას პატარა გზისპირა ყავის ჯიხური აქვთ გამართული. გარე ტერასაზე მორყეული მაგიდა დგას, რომლის ერთ-ერთ ფეხსაც ქვა ამაგრებს. როცა მზე ანათებს, კავკასიონის დიდებული მწვერვალების ხილვით დატკბებით. ხოლო თუკი ამინდი სუსხიანია, ბუთულისა და თამარას შორის, ღუმელთან შეგიძლიათ ჯდომა. აქ ფეხებსაც გაითბობთ და მასპინძლების მესამე ვაჟის დაქორწინების პერსპექტივასაც განიხილავთ, პერსპექტივას, რომელიც არცთუ სახარბიელო ჩანს.

ძველ დროს, სვანეთში, პატარძლებს იტაცებდნენ ხოლმე, რაც ხშირად სწორედ მათი თანხმობითა და წაქეზებით ხდებოდა. თამარამ სარძლოდ ჩემს გიდს – გვანცას დაადგა თვალი.

„100-ზე მეტი ცხვარი ჰყავს“, – აღტაცებით თქვა თამარამ და ყავა ჩამოასხა – „და ყველა კბილი ადგილზე აქვს“.

„თამარა მოიტაცე?“ – ვკითხე ბუთულის. ბუთული 81 წლისაა. ის და თამარა თითქმის 60 წელია ცოლ-ქმარი არიან.

„არა, რა თქმა უნდა, არა“, – მიპასუხა ბუთულიმ, „მოტაცება რომ დამეპირებინა, ვინმე უფრო წესიერი შესახედაობისას მოვიტაცებდი“.

კავკასიის რეგიონში, ერების ამ თავსატეხში, ყველაზე მეტად მისაწვდომი, ყველაზე გამოცდილი და მხიარული – საქართველოა. ამას ყოველთვის აღნიშნავდნენ რუსი რომანტიკოსები. ეს ის ადგილია, სადაც ისინი გასართობად, მოახლეებთან ერთად იპარებოდნენ. ჯეიმს ბონდიც ხომ ამ ქვეყნის გულშემატკივარი იყო:

„ქვეყანა მშვენიერია, თუმცა მთავარი შარმი ადამიანებში იმალება“, – წერდა ფიცროი მაკლინი, დიპლომატი, ჯარისკაცი, მოგზაური და ადამიანი, რომელიც იან ფლემინგმა „აგენტ 007“-ის პროტოტიპად გამოიყენა.

– ისინი სამხრეთელები, ღვინის მსმელები, მთამსვლელები და მოჩხუბრები არიან. მათში ხმელთაშუა ზღვის თავშეუკავებლობა და სიმკვირცხლე, ასევე, მთიელის ენერგია და სიმტკიცეა გაერთიანებული. ქართველები საკუთარ რასას მიეკუთვნებიან, უძველესი ენითა და წეს-ჩვეულებებით.

დიდი არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, რაც საქართველომ საბჭოთა კავშირის სულისშემხუთავი შებოჭილობისგან დაიხსნა თავი. ქვეყანამ დამოუკიდებლობა 1991 წელს აღიდგინა. ღვინო კვლავაც მშვენიერია, რასაც უნდა ელოდე კიდეც იმ ქვეყნისგან, რომელსაც მეღვინეობის 6.000 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. როგორც ჩანს, ქართველებს დიდი რაოდენობით ღვინის დალევა შეუძლიათ. ზოგიერთის მტკიცებით, რიგიანი სადილის დროს, ისინი 2-3 ლიტრ ღვინოსაც კი მიირთმევენ.

საკვები საოცარია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი დანაღმული ველია ადამიანისთვის, ვინც დიეტას იცავს, ან ვეგეტარიანელია.

პოლიფონიური მუსიკა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ის ხმებში იშლება, თმას ყალყზე დაგიყენებთ, ხოლო მათი ტრადიციული ცეკვის ფონზე, შოტლანდიური ცეკვა ვალსს ემსგავსება. ეს ისეთი რამაა, რაც ალერსისა და მოფერების ნაცვლად, ტრავმებით უფრო დასრულდება, განსაკუთრებით „3 ლიტრიანი სადილის“ ბოლოსკენ.

დედაქალაქი, თბილისი, მომხიბლავი ქალაქია. ერთი მხრივ, საკმაოდ პატარა იმისთვის, რომ ფეხით მოიაროთ, მეორე მხრივ კი დიდი, რათა ცოცხალი ღამის ცხოვრება და რესტორნების განვითარებული ქსელი ჰქონდეს.

დედაქალაქს მიღმა, დათოვლილი კავკასიონის მთებამდე, მომხიბლავი პეიზაჟებია გადაჭიმული.

ქუთაისში, ერთ-ერთ ქუჩაზე, ვიოლინოზე დამკვრელმა ისეთი მელანქოლიური მელოდიები მომიძღვნა, რომ ავტირდი.

კაცხში ვნახე ბერი, რომელიც კლდის თავზე სახლობდა, როგორც სირიელი განდეგილი 1500 წლის წინ. შევამჩნიე, როგორ ადიოდა კიბეზე, როგორ უფარფატებდა კაბის კალთები. მიწაზე მისი ყოველკვირეული ვიზიტის შემდეგ უკან ბრუნდებოდა.

ყაზბეგში, დარაბებდახურულ სახლში, შევხვდი ქალს, რომელმაც ოჯახის საგანძური – საუკუნის წინანდელი მოქარგული კაბა მაჩვენა. წინანდალში, ჭავჭავაძეების მამულში, ვიხილე მომხიბლავი ბიბლიოთეკა, სადაც ერთ დროს პუშკინი და ალექსანდრე დიუმა საუბრობდნენ.

გორში არის სახლი, სადაც სტალინი და მისი წყენა მწიფდებოდა.

ჩემი მოგზაურობის დროს, რეგულარულად ვისმენდი საოცარ ამბებს სვანეთის შესახებ. როგორც ამბობენ, კავკასიონის ძირში მდებარე სვანეთი – დაუმორჩილებელი და გარეშე მტერთან უკომპრომისოდ მებრძოლი მხარე, საქართველოს განსაკუთრებული ნაწილია, ადგილი, სადაც ტრადიციული კულტურა ჯერ კიდევ ყვავის. სვანეთი მშვენიერია, შორეულია, მომაჯადოებელია – ყველა ამას ამბობდა. ადგილობრივები – სვანები მხიარულები არიან. არასდროს იცი, ჩამოსულ სტუმარს როგორ დახვდებიან – ნადიმს გაუმართავენ თუ მიზანში ამოიღებენ. ზოგჯერ, ორივე ამბავი ხდება.

მძღოლთან და გიდთან ერთად ზუგდიდიდან სვანეთისკენ დავიძარი. გზა მთის ვიწრო ხეობებში გადიოდა, სადაც მზის სხივი იშვიათად აღწევდა. დროდადრო ავტომობილი კლდიდან მოწყვეტილ ლოდებს უვლიდა გვერდს. ჩვენს ქვემოთ, მდინარე ენგური მოედინებოდა. ცოტა ხნის წინ, თოვლს გზები 6 თვით ჰქონდა ჩაკეტილი და სვანეთი გარე სამყაროს იყო მოწყვეტილი.

რამდენიმე საათის შემდეგ, გრძელი, სათიბი ველებითა და ნათეღი, შემოდგომის ტყეებით შემოსაზღვრულები აღმოვჩნდით. ვაგონები და მარხილები სახლების ქვით ნაგებ კედლებთან ეწყო. ძროხები მძინარე მგზავრებივით ნელა დახეტიალობდნენ. გრძელ თეთრ მოსასხამებში გამოწყობილი მწყემსები ჩვენს სვლას აკვირდებოდნენ. შესახვევიდან გამოჩენილი ორი ცხენოსანი კი ღორებს მიერეკებოდა.

აქაურობას შუა საუკუნეების ეფექტს კოშკები სძენს. თუკი იტალიასა და საბერძნეთში რამდენიმე ასეთი კოშკიღაა შემორჩენილი, სვანეთში მათი რაოდენობა თითქმის 200-ს უტოლდება. როგორც ჩანს, თითოეულ სახლს საკუთარი კოშკი აქვს, რომელთაც, ქვის კედლებზე, მხოლოდ თავდაცვისთვის საჭირო ფანჯრის ნიში აქვთ ამოჭრილი. კოშკი თავდაცვითი ნაგებობა იყო, როგორც გარეშე დამპყრობლების, ასევე მეზობლებისგან თავდასაცავად. სვანეთი ვენდეტითა და მოსისხლეობითაა ცნობილი. ამის ფონზე სიცილია ჭირვეულ საბავშვო ბაღად მოჩანს.

თანამედროვე ეპოქამ, რომელმაც აქ დაახლოებით ათწლეულის წინ მოაღწია, უკანონობას წერტილი დაუსვა. სამართალდამცავთა ეფექტურმა ღონისძიებებმა ავაზაკობის ნარჩენები ალაგმა. ამ პროცესს კი ძალიან დაეხმარა სვანების მიერ იმის გაცნობიერება, რომ სტუმართმოყვარეობა დღესდღეობით ცხოვრების საუკეთესო გზაა. თუკი ვიზიტორს ოთახს მიაქირავებთ, ის, სავარაუდოდ, დაბრუნდება. ხოლო თუკი ადამიანს გაძარცვავთ, ის უკან აღარ ჩამოვა. ზოგიერთი ძველი დროის რომანტიკის დაკარგვას მისტირის, თუმცა, დღესდღეობით, სავარაუდოდ, სტოკჰოლმში უფრო გაგძარცვავენ, ვიდრე სვანეთში.

უშგულისკენ, ზღვის დონიდან 2.100 მეტრზე, ევროპის ყველაზე მაღლა მდებარე სოფელში წავედით. მოვიარეთ მიმდებარე სოფლები, ვივახშმეთ შემწვარი ცხვრის ხორცითა და შავი ღვინით.

ლამარიას პატარა ეკლესიაც დავათვალიერეთ. ტაძრის ნეფი კოტეჯის სამზარეულოს ზომისა თუ იქნებოდა. მრევლი შედგებოდა ორი შავად შემოსილი ბერისგან, ერთი გამვლელისგან, რომელმაც მასწავლა თუ როგორ და როდის გადამეწერა პირჯვარი სწორად და ჩემგან. აქვე, ქვის სკამზე, ჭრელი კატა იყო შემოსკუპებული. რომცა წითელ სამოსელში გამოწყობილი მღვდელი ფარდის უკან გაუჩინარდა, რათა ჩვენთვის ელოცა, ერთ-ერთმა ბერმა საოცარი სისწრაფით დაიწყო ფსალმუნის კითხვა.

უკან, ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზაზე, კიდევ ერთხელ შევჩერდით ბუთულისა და თამარას ჯიხურთან. ისე შეგვხვდნენ, როგორც ძველ მეგობრებს. მუქი, მღვრიე ყავის ჭიქებით ხელში, შიგნით, სკამზე დავსხედით. თამარა ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ გვანცასთან რამეს გახდებოდა.

„ჩვენ სულ ხომ არ ვიქნებით?“, – მხიარულად თქვა მან. „როცა წავალთ, ჩვენი სახლი ჩვენს ბიჭს დარჩება. სამი ოთახი და მშრალი ადგილი ღორებისთვის“.

„შეხედეთ, რამდენი წლისაა“, – იხუმრა 81 წლის ბუთულიმ. „მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ის ძალიან მოხუცდა. დაკვირდით მის ნაოჭებს. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვრჩები მასთან, რომ მეცოდება.“

თამარამ მეუღლეს ხელი ჰკრა, სანამ ბუთული სკამის ბოლოსკენ გაცლას მოასწრებდა.

მოგვიანებით, როდესაც მისი მეუღლე საქმით იყო დაკავებული, გარეთ გამოსულ ბუთულის ვკითხე, რა იყო ასეთი ხანგრძლივი ქორწინების საიდუმლო.

მხრები აიჩეჩა.

– მარტივია, თამარა მას შემდეგ მიყვარს, რაც პირველად დავინახე 16 წლისა, უშგულში. მოტაცება აღარ დამჭირდა.“

მოისამბები.გე

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21

ასტროპროგნოზი

15 ნოემბერი

ვერძი – მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით. დაგეგმილი დასვენების გადადება მოგიწევთ. **კურო** – ეს დღე ოჯახის წევრებთან გაატარეთ. მდიდარი ფანტაზიის წყალობით მოულოდნელ დასკვნებს გააკეთებთ. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. ემოციები მაქსიმალურად აკონტროლეთ. **კირჩხიბი** – ახალი საქმის დაწყებამდე ძველი დაამთავრეთ. იფრთხილეთ ფინანსური ოპერაციებისას. **ლომი** – საკმაოდ რთული დღეა. შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. შეცდომებზე იფიქრეთ. **ქალწული** – კონფლიქტს თავი აარიდეთ. ნურავის მიენდობით. დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობაც. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სულიერი ზრდისთვის. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი, არასტანდარტული დღეა. ეჭვები უკუაგდეთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. ნუ იქნებით უტაქტო. **თხის რქა** – თუ წინდახედულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, ჩანაფიქრი განახორციელოთ. იყავით კორექტული. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. შესაძლოა შემოსავლის ახალ წყაროსაც მიაგნოთ. **თევზები** – აქტიური და დაძაბული დღეა. საქმეს შემოქმედებითად მიუდექით.

გისუჰვებთ ბედნიეჰ დღეს!

ჯჩოსვოჩდი ბ



შვეულად: 1. მადნის, ნახშირისა და სხვა ნივთიერებების ნარევი ლითონის გამოსადნობად; 2. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 3. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 4. ნატურით გადასახადი მიწათსარგებლობისთვის ძველად საქართველოში; 5. აეროპორტი პარიზში; 6. საყვარლის ხარჯზე, კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 9. დაავადებისა და მისი ნიშნების დაფარვა ავადმყოფის მიერ; 10. უმაღლესი კვალიფიკაციის აფთიაქარი; 11. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 14. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 18. პლანეტების მოძრაობის კანონების აღმომჩენი გერმანელი ასტრონომი; 20. ღვინის დიდი ქვევრი; 23. ოპერა „ფაუსტის“ კომპოზიტორი; 24. ფინეთის პარლამენტი; 25. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 26. ირლანდიური ცეკვა.

თარაზულად: 7. გერმანული ავიაკომპანია; 8. პრეზიდენტის სასახლე რომში; 12. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 13. ხის ზედა განტოტილი ნაწილი; 15. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 17. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 21. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 22. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 27. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 28. საელჩოებისა და საკონსულოების თარჯიმანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. ლიმფა; 5. კასტილია; 6. მაჩვი; 7. ჟინვალი; 9. პოშეტი; 13. ემალი; 17. ნომი; 18. ბოა.

თარაზულად: 1. ტალანტი; 3. „პოპოლო“; 8. მაიამი; 10. აქსიომა; 11. „პორშე“; 12. კაპრიზი; 14. მოსტრა; 15. ანოსმია; 16. იანძი; 19. სალათი; 20. ფარვანა; 21. კრუიზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბორტი; 2. კოპრა; 3. ჭიანური; 4. ცემი; 5. რიწა; 6. არაქისი; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. „მირანგულა“; 14. გურჯი; 16. ქაირო; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტი; 24. დაზგა; 25. მატიე; 26. „შინი“.

თარაზულად: 7. პირომეტრი; 8. სპრინტერი; 12. ხურმა; 13. სირია; 15. „ოტელო“; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. ატილა; 22. პლაცი; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

მაია ასათიანი: „შემარგეთ, რომ ცოცხალი ვარ!“

გადაცემა „პროფილის“ წამყვანი მაია ასათიანი კვლავ მაყურებლის კრიტიკის ქარცეცხლში მოყვა. ამის მიზეზი მომავალი ხუთშაბათის „პროფილის“ ანონსი გახდა, სადაც მაიას ზედმეტად ამოღებული შავი კაბა აცვია. ტელეწამყვანი აცხადებს, რომ საზოგადოებასთან ბრძოლით დაიღალა.

მაია ასათიანი:

– ეს კაბა ეთერში მაცვია მესამედ! პირველად – ნუცას გარდაცვალების შემდეგ! მაცადეთ ცხოვრება! გიჟივით ქუჩაში რომ დავრბოდე და ვკიოდე, ხომ ვიქნებოდი თქვენთვის მისაღები? თავს გადააქნევდით სევდიანი სახეებით და საწყალი, გაგიჟდაო, იტყოდით. მაცადეთ, სანამ მე თვითონ მოვკვდები და შემარგეთ, რომ ცოცხალი ვარ! დავიღალე თქვენთან ბრძოლით!

დევიდ ლინჩი საქართველოში ჩამოდის

მსოფლიოში ცნობილი რეჟისორი დევიდ ლინჩი საქართველოში ჩამოდის.

ხელოვანი 20 ნოემბერს ქართველ თაყვანისმცემლებს კლუბ „ხიდში“ შეხვდება. ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია დევიდ ლინჩის ფონდმა კავკასიაში გაავრცელა. ფონდს რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე ხელმძღვანელობს.

– უნიკალური შესაძლებლობა გაქვთ, შეხვდეთ ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კინორეჟისორ დევიდ ლინჩს, რომელიც გაგვიზიარებს თავის მრავალწლიან გამოცდილებას კინოინდუსტრიაში და ისაუბრებს შემოქმედებით საქმიანობაში სრული პოტენციალის გამოყენებაზე ტრანსცენდენტალური მედიტაციის ტექნიკის საშუალებით, – ნათქვამია დევიდ ლინჩის ფონდის ოფიციალურ განცხადებაში.

შეხვედრა დევიდ ლინჩთან 5 საათზე დაიწყება და 8-ის ნახევრამდე გაგრძელდება. მასზე დასწრება თავისუფალია, თუმცა ღონისძიებაზე დასასწრებად საჭიროა რეგისტრაციის გავლა. ღონისძიების ფორმატიდან გამომდინარე, გაიგზავნება შეზღუდული რაოდენობის მოსაწვევები, რომლის პასუხიც შეხვედრაზე დასწრების მსურველებს 16 ნოემბერს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიუვათ.

პროგრამა

ოთხშაბათი 15 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15, 03.15** ტ/სერ. "**ჩენბო ჯეტრინე**" **10.00, 02.15** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15**"სპორტის დაფა" **12.40, 21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში" **15.30, 04.15** დოკ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **16.30** ტ/სერ. "**ელვეტები**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.00** "მოამბე" **23.15** დოკ/ფ "თოფგიარი" **00.15**მხ/ფ "**ჩასაფრებული ვეფხვი**" **უჩინარი დრაკონი**" **05.15**მხ/ფ "**ჯერი მაგუაიერი**" (ტ.კრუზი)

06.30, 16.00 სერ. "**ბყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** პრაიმშოუ **23.30** სერ. "**დიდი შესვენება**" **2** სერ. **00.30** მხ/ფ "**ლეგენდა პერკულესზე**" **02.15** მხ/ფ "**ვაისი**" **04.05** მხ/ფ "**კარგი ადამიანები**" **05.35** მხ/ფ "**უწმინდურები**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფარიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ბზარი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები-2**" **09.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00** მხ/ფ "**ექვსი დღე შვიდი ღამე**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები 4**" **16.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები 5**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-3**" **18.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-4**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-5**" **21.00** სერ. "**ლურჯის ელფერი**" **22.00** მხ/ფ "**ანაკონდა 2**" **00.10** მხ/ფ "**წყეული**" **02.10** მხ/ფ "**ნიშნები**" **04.10** მხ/ფ "**საკანი**"

ვირჩევი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** პოლიტმერტი **23.30** ღალატი

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამპარი**" **23.00** ინტერვიუ ვანჩიკასთან **00.00** მხ/ფ "**ყალბი იდენტობა**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** ქრისტიანული ხელოვნება "ხელნაწერი წიგნები" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-თევზები ხეზე" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ეპოქა და ადამიანები "რევაზ ლაღიძე" **12.05** ღია აუდიტორია "რამაზ გახოკიძე" **12.50** გაცოცხლებული წარსული "შავნაბადა" **13.30** ან/ფ "სად არის ნემო" **14.40** სალბუნი "ხალხური მედიცინა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ქვაბურები" **16.25** კონცერტი **17.05** ერთსულოვანი ოჯახი "დემეტრაშვილები" **17.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** ივერიის ეკლესია "სინას მთის ქართული მემკვიდრეობა" **18.25** პატერიკი-დაფარული მცნობელობის შესახებ **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**ნინო**" **20.35** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქვაშით ნაამბობი **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**არაჩვეულებრივი რეისი**" **23.45** სიბრძნისმეტყველება **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მთავარი თემა (პირდაპირი)

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სპორტი

რეალის არარეალური ამბები

ესპანური გამოცემები ძალიან საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებენ, რომლის მიხედვითაც, ფლორენტინო პერესმა გარეთ ბეილის გაშვება 100 პროცენტით გადაწყვიტა და საკმაოდ საინტერესო კომბინაციებს გვთავაზობს...

მოგეხსენებათ, რეალს მიზანში არაერთი ლიდერი ჰყავს ამოღებული, მათ შორის არიან დელე ალი, ჰაი კეინი, ედენ აზარი, ნეიმარი, მბაპე და ასე შემდეგ.

თითოეული ფეხბურთელი ყიდვა უდიდეს თანხებთან არის დაკავშირებული და ასევე დიდ სირთულეებთან, მაგრამ, თუ საქმეში გარეთ ბეილი ჩაერთვება, ყველაფერი გამარტივდება. ყოველ შემთხვევაში პრეზიდენტი პერესი ასე ფიქრობს.

ბრიტანულ გამოცემებზე დაყრდნობით, რეალს ყველაზე დიდი შანსი ჰარი კეინთან და დელე ალისთან მიმართებით აქვს, ვინაიდან ტოტენჰემს გარეთ ბეილის დაბრუნება ძალიან სურს.

ესპანურ სატელევიზიო გამოცემებზე დაყრდნობით, სეზონის ბოლოს რეალში კიდევ ერთი ნამდვილი სენსაცია დაფიქსირდება, რაც კრიშტიანო რონალდუს გუნდიდან წასვლას უკავშირდება...

პორტუგალიელი ლიდერი გუნდის პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს შეხვდა და საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო, თუმცა პრეზიდენტისგან უარი მიიღო, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, „შვიდიანი“ გადაწყვეტილებას არ შეცვლის.

ამიტომ მომდევნო ინფორმაციამ რეალის ქომაგებსა და ზოგადად მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა – რეალმა ნეიმარის ტრანსფერთან დაკავშირებით ყველაფერი მოაგვარა და ბრაზილიელი „ბლანკოსში“ 7-ნომრიან მაისურს ჩაიბარებს, სატრანსფერო თანხა კი ჯერჯერობით უცნობია.

ესპანურ და გერმანულ საინფორმაციო გამოცემებზე დაყრდნობით, რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ზამთრისთვის 50-მილიონიანი ტრანსფერი შეათანხმა, ვინაიდან მიხვდა, რომ ზინედინ ზიდანის გუნდში რესურსი გასაზრდელია...

საუბარია ტიმო ვერნერზე, რომელსაც, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ძალიან ბევრი გოლი გააქვს და ბუნდესლიგაში ბრწყინავს.

როგორც ჩანს, ზინედინ ზიდანის რჩეულ კარიმ ბენზემას ძალიან დიდი კონკურენტი გამოუჩნდება.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

მზია კვირიკაშვილს საპატიო ვარსკვლავს გაუხსნიან

სიცილის დედოფლის მზია კვირიკაშვილის უახლოესმა მეგობარმა ირაკლი ლომაიამ რამდენიმე დღის წინ კულტურის პალატის ხელმძღვანელ დავით ოქიტაშვილს მზია კვირიკაშვილის ვარსკვლავის გახსნა მოსთხოვა.

როგორც ირაკლი ლომაიამ განაცხადა, მასა და დავით ოქიტაშვილს შორის საუბარი შედგა და ყველა კითხვაზე პასუხი უკვე გაცემულია.

ირაკლი ლომაია:

– შედგა კავშირი ჩემსა და ბატონ დავით ოქიტაშვილს შორის. ჩვენ ძალიან ვრცელი და ნოყიერი საუბარი გვქონდა. მან გარკვევით ამიხსნა და ჩამახედა საქმის იმ დეტალებში, რაც სხვებისთვის არ არის ხელმისაწვდომი და დახურულია. მან დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ამიხსნა, თუ რატომაც დაგვიანდა ქალბატონი მზია კვირიკაშვილის ვარსკვლავის გახსნა. მოგეხსენებათ თქვენ ჩემი დამოკიდებულება და უდიდესი პატივისცემა ქალბატონი მზიას მიმართ და ალბათ უსიტყვოდ გჯერათ და გწამთ იმის, რომ ამ საქმეს ასე მარტივად არ დავთმობდი, რომ არა ბატონი ოქიტაშვილისგან მყარი და მართლა არგუმენტირებული პასუხები.

აქედან გამომდინარე, მინდა გაცნობოთ, რომ ამ საკითხზე ამჟამად მიმდინარეობს უკვე განხილვა და, როგორც ის შემპირდა, შეძლებისდაგვარად უახლოეს მომავალში გაიხსნება ქალბატონი მზია კვირიკაშვილის საპატიო ვარსკვლავი. სწორედ ყოველივე ზემოთხსენებული დიალოგიდან გამომდინარე, დროებით ვწყვეტთ ამ თემაზე პროტესტს, იმიტომ რომ ჩვენი მოთხოვნა საქმის პროცესშია და ამ ფონზე მიმაჩნია, რომ არ შეიძლება ზედმეტი უსაფუძვლო კიჟინი, რამეთუ ადამიანები, რომლებსაც ეს საქმე აბარიათ, საჭიროებენ დროს, სიმშვიდესა და სიწყნარეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი მოთხოვნა და წინადადება, გაიხსნას ქალბატონი მზია კვირიკაშვილის ვარსკვლავი, დაკმაყოფილდება უახლოეს მომავალში. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ ზედმეტი აჟიოტაჟისა და უსაფუძვლო კიჟინის დრო არ არის, უბრალოდ, დაველოდოთ, მოვლენებს არ გავუსწროთ და, როგორც შემპირდა ბატონი ოქიტაშვილი, ჩვენ აუცილებლად გვექნება საპატიო და ლეგენდარული, ჩვენთვის საყვარელი ქალბატონის ვარსკვლავი. დიდი მადლობა ყველას თანადგომისთვის. რომ არა თქვენ, მე მარტო ნამდვილად ვერაფერს შევძლებდი. მიყვარხართ ყველა.

მესტიაში ისტორიული კოშკები დაამახინჯეს

მესტიაში, სადაც ყველა კოშკი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, ისტორიული კოშკები დაამახინჯეს.

სოციალურ ქსელში ერთ-ერთმა უცხოურმა გვერდმა გაავრცელა ფოტო, სადაც ჩანს, რომ ორ კოშკს შორის ღურჯსახურავიანი სასტუმროა ჩაშენებული.

ამ ფოტომ ქართველ ინტერნეტმომხმარებლებში კრიტიკა გამოიწვია. მათი განცხადებით, სვანური კოშკები ქართული კულტურის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია, ამიტომ მათი დამახინჯება კანონით უნდა დაისაჯოს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მანანა გაბუნიას მოგონება

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თვალყურს ვადევნებ ყოველდღე ახალ ამბებს და, რა თქმა უნდა, პრესასაც. საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის კურთხევის შემდეგ წლებია ერთი დღე არ გამომიტოვებია და ვაკეთებ ჩანაწერებს, ვცდილობ, არ გამომეპაროს თუნდაც უმნიშვნელო მოვლენა, სიხარული თუ ტკივილი.

პრესის დათვალიერებისას წავიკითხე ნუგზარ ფიფიას რამდენიმე სულის შემძვრელი წერილი, რომელიც მიუძღვნა საყვარელ მეუღლეს მანანა გაბუნიას ხსოვნას. თვალცრემლიანმა რამდენჯერმე წავიკითხე ეს წერილები.

ქალბატონი მანანა გარდაიცვალა 2016 წლის 12 მაისს. ის იყო შესანიშნავი ადამიანი, არაჩვეულებრივი მეუღლე, დედა, თავისი საქმის დიდი პროფესიონალი, ინტელექტუალური და პოეტური სულის მქონე პიროვნება.

ქალბატონი მანანა მუდამ მომღიმარი, ხალისიანი, იმედის მომცემი, ძლიერი ფსიქიკის მქონე იყო. თვითონ მძიმე სენით დაავადებული ისევ და ისევ სხვის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, სხვისი ტკივილის შემსუბუქება იყო მისთვის მთავარი.

მე, როგორც ისტორიკოსმა, განსაკუთრებით მინდა გამოვყო მისი სიყვარული საქართველოს ისტორიისადმი. მან ძალიან კარგად იცოდა თავისი საყვარელი ქვეყნის ისტორია, მისი წარსული და აწმყო და შესანიშნავი მოპაექრეც იყო ისტორიის საკითხებში.

რაც შეეხება ნუგზარ ფიფიას, მას საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. ის საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო წლების განმავლობაში, შემდეგ რუსეთში მოღვაწეობდა საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო და სრულუფლებიან წარმომადგენლად და დიდი გაჭირვების წლებში ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა თავისი ქვეყნისთვის.

მე მაინც მინდა სხვა კუთხით დავწერო მის შესახებ. ის ყოველთვის იყო მოწოდების სიმაღლეზე. მან ყველაზე კარგად იცოდა მეუღლის ფასი, რაც მთავარია, უსაზღვროდ უყვარდა და თაყვანს სცემდა ქალბატონ მანანას. ამაში თითქოს გასაკვირიც არ უნდა იყოს არაფერი, მაგრამ დღეს, როდესაც სიყვარულის ასეთი დეფიციტია, მიმაჩნია, რომ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ბატონი ნუგზარი არაჩვეულებრივი მეუღლე და მამაა. განსაკუთრებულად უვლიდა ქ-ნ მანანას, არც ერთი წუთით არ ტოვებდა, თვითონ აკონტროლებდა თითოეული აბის მიღებას, კვებას, ყველანაირ პირობებს უქმნიდა, რომ არ ეგრძნო მანანას თავი მარტო, სიყვარულით ავსებდა, სწორედაც მის ხელში დალია სული. გასაოცარი და სამაგალითოა მანანას გარდაცვალების შემდეგ ბატონი ნუგზარის საქციელი. ის ყოველდღე დადის საფლავზე, საათობით ზის, ესაუბრება თავის საყვარელ ადამიანს შვილზე-შვილიშვილზე. როცა საფლავზე მიდის გახარებულია, რადგან იცის, იქ მისი სული ელოდება. ბატონ ნუგზარს თავის ერთადერთ შვილთან, ირაკლისთან ლონდონში დარჩენაზე არც უფიქრია. მიმაჩნია, რომ მანანას საფლავთან ყოფნაც მათი სიყვარულის გაგრძელებაა.

ბატონ ნუგზარს 4 აპრილს 70 წელი შეუსრულდა. არც უფიქრია ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნა. მანანას წლისთავი არ გასულაო, ასე უპასუხა მეგობრებსა და ახლობლებს. 15 ნოემბერს ქალბატონი მანანას დაბადების დღეა. ბატონი ნუგზარი მისი უძვირფასესი მეუღლის და თავის დაბადების დღეს ერთად აღნიშნავს. ალბათ, ყველა დამეთანხმება, ბატონი ნუგზარი თავისი საქციელით გვაჩვენებს – სიყვარულის, ცოლქმრული ერთგულების, ერთად გატარებული წლების, სულიერი მეგობრობის საოცარ მაგალითს, რომ არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგ გრძელდება დიდი სიყვარული.

ბატონ ნუგზარს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და გამძლეობას. ქალბატონი მანანას სულს კი სასუფეველში მშვიდად დამკვიდრებას.

ჩემს ნაშრომში, რომელსაც ჰქვია „ისტორიკოსის ჩანაწერები“ ბატონი ნუგზარის ყველა წერილი-მონატრება შევიტანე, როგორც სიყვარულის ნიმუში. დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობა მას წაიკითხავს და გაითვალისწინებს.

პატივისცემით, შერაბ ვაჩნაძე

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 ნოემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6538
- ევრო — 3.0904
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4714
- 100 რუსული რუბლი — 4.4633

ამინდის პროგნოზი 15 ნოემბრისთვის

9 ნოემბრიდან



ალექსანდრე ელისაშვილი
თბილისის თავგადასავალი

„ასეთ წიგნს დიდხანს ველოდი. საბოლოოდ კი გადავწყვიტე, მე თვითონ დამეწერა, ყველასთვის გასაგებ ენაზე მომეთხრო თბილისის თავგადასავალი“ – ამბობს ავტორი.

წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

14 ნოემბრიდან

უცხოეთში დაკარგული ქართველები

ბედის უკულმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

16 ნოემბრიდან

რომან გვენცაძის
საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ნოდიკო ტატიშვილმა და სალომე ბაკურაძემ დუეტი ჩაწერეს

მომღერლებმა ნოდიკო ტატიშვილმა და სალომე ბაკურაძემ დუეტი ჩაწერეს.

„ერთხელ წვიმიან ქალაქში“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც ლილიკო ნემსაძემ დაწერა, ტექსტი კი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის. ვიდეორგოლი ნოდიკოსა და სალომეს დუეტზე რეჟისორმა ნესტან სინჯიკაშვილმა გადაიღო, პროდიუსერი კი თაკო დოლაბერიძეა. ვიდეორგოლის გადაღებები კახეთში, როიალ ბატონში მიმდინარეობდა. ახალ დუეტზე შექმნილი ვიდეორგოლის პრეზენტაცია მომღერლებმა კინოთეატრ „ამირანში“ გამართეს.

კლიპში ნოდიკო და სალომე შეყვარებულები არიან, თუმცა დაშორების შემდეგ სხვა შეყვარებულებთან ერთად ერთმანეთს ისევ შეხვდებიან.

სიმღერა რადიოებში უკვე ტრიალებს და დიდი მოწონებითაც სარგებლობს. ვიდეორგოლის გადაღება მომღერლებმა ამ სიმღერაზე მისი პოპულარობის გამოც გადაწყვიტეს. მათ იმედი აქვთ, რომ მაყურებელი მათ ერთობლივ კლიპს მოიწონებს და შეიყვარებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ცისკარა გზაზე მიდის, გზაჯვარედინთან წარწერა დახვდება:

– პირდაპირ წახვალ, გამოშტერდები, მარცხნივ წახვალ, დაიღუპები, მარჯვნივ წახვალ, მოკვდები.

ცისკარამ სიკვდილს გამოშტერება ამჯობინა და პირდაპირ წავიდა. ბევრი იარა და დაღლილს წყალი მოსწყურდა. ამ დროს წყაროს მიადგა, რომელთანაც სამთავიანი გველეშაპი იყო წამოწოლილი. ცისკარამ იშიშვლა ხმალი, მივარდა გველეშაპს და ჯერ ერთი თავი მოაჭრა, მერე მეორე, ის იყო, მესამეც უნდა მოეჭრა, რომ გველეშაპი ეუბნება:

– რას მერჩი, რა დაგიშავე, რატომ მკლავ?

– წყლის დალევა მინდა!

– მერე რამ გამოგაშტერა, რამდენიც გინდა, დალიე, ვინ დაგიშალა?!

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, მართალია, რომ ცოლის მოყვანა ლატარიასავითაა?

– არა, შვილო. ლატარიაში რაღაც შანსი მაინც არსებობს...

●●●

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, ის ყმაწვილი, შენ რომ ცოლად გაყოლას აპირებ, ობოლია, თანაც კოჭლიცაა და ჯობია არ გაჰყვე ცოლად!

– დედა, მე ლამაზი და მდიდარი არ მჭირდება, ისეთი მომწონს, როგორიცაა.

– მე მაგას არ ვგულისხმობ, ცოდოა ბიჭი, ისედაც დაჩაგრულია ბუნებისგან!

●●●

ავტობუსში:

– რა უნდა თქვენს ხელს ჩემს ჯიბეში?

– ხურდა ფულს ვეძებ.

– შეგეძლოთ გეთხოვათ.

– შემრცხვა.

●●●

ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ? როგორ გყავს მეუღლე? მახსოვს, ამ 30 წლის წინ ის ვარდივით იყო გაფურჩქვნილი.

– მორჩა, გადაიყვავილა, მარტო ეკლებია დარჩენილი.

●●●

ორი ფეხბურთის მოყვარული საუბრობს.

– ჩემი ტაქსა როდესაც ჰოლანდიის ნაკრებს გოლი გააქვს ყირამალას აკეთებს.

– ვაა, რა მაგარია! და რომელ მხარეს აკეთებს, მარჯვნივ, თუ მარცხნივ?

– გააჩნია რომელ ფეხს ამოვცხებ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

10 ნოემბრიდან



ანდრეს ინიესტა
შემოქმედი

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ამ წიგნში საუბრობს ოჯახზე, ურთიერთობებსა და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა.

„მე მჯერა იმ ძველი გამოთქმის, რომლის მიხედვითაც, ადამიანს შვილი უნდა ჰყავდეს, ხე დარგოს და წიგნი დაწეროს. საბედნიეროდ, ქალ-ვაჟის მამა ვარ; ჩემს საფეხბურთო კარიერას ყოველთვის ექნება კავშირი ხესთან, იმ სათამაშო მოედანზე რომ იდგა, სადაც ბავშვობაში ბურთს ვაგორებდი; და დამრჩა წიგნი, თქვენ ხელთ რომ არის და რომელსაც „შემოქმედი“ ვუწოდე“, – ამბობს ანდრეს ინიესტა.

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

კრიშტიანო რონალდუს ზაფხულში რეალიდან წასვლა სურს

ესპანურ პრესაში სულ უფრო ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ კრიშტიანო რონალდუს ზაფხულში რეალიდან წასვლა სურს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რონალდუმ ფლორენტინო პერესს თხოვნითაც მიმართა, რომ ზაფხულში ის სხვა კლუბში გაუშვან.

ამ საკითხზე ჯერჯერობით თვითონ რონალდუს კომენტარი არ გაუკეთებია. წლევანდელ სეზონში კრიშტიანო არ გამოირჩევა ისეთი შედეგიანობით, როგორითაც ადრე და მას ესპანეთის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი. მიუხედავად ამისა, რონალდუ ოქროს ბურთის მოპოვების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად ითვლება.

გარეტ ბეილს 29 წლის ქვისლი გარდაეცვალა

მადრიდის რეალის ვინგერის გარეტ ბეილის ოჯახში ტრაგედია მოხდა. ბეილის ცოლისდის ქმარი, 29 წლის ალექსანდერი კარდიფში, გარდაცვლილი იპოვეს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი და უახლოეს პერიოდში ბეილი შესაძლოა კარდიფში ჩაფრინდეს, სადაც უკვე იმყოფება მისი ცოლი ემა.

ბეილის ქვისლი კარდიფში ავტოსალონში მუშაობდა და ორი შვილი ჰყავდა, რომლებიც მამის გარეშე დარჩნენ.

ბეილს ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

დანი ალვეშმა გაბრიელ ჟესუსი რონალდოს შეადარა

ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა თავის თანამემამულე გაბრიელ ჟესუსზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ ფეხბურთელს დიდი მომავალი აქვს.

– ჟესუსი ახალგაზრდა რონალდოს მაგონებს, რომელიც 90-იან წლებში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იყო. თუ გაბრიელმა თავის თავზე მუშაობა გააგრძელა, მას შეუძლია, მსოფლიოში საუკეთესო გახდეს, – განაცხადა დანი ალვეშმა.

ჟესუსი ამჟამად მანჩესტერ სიტის ღირსებას იცავს და მას სტაბილურად გააქვს გოლები ამ გუნდის შემადგენლობაში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გერმანიის შეიარაღებული ძალების სახელწოდება; 2. შტატი აშშ-ში; 3. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 4. ფრანგი მწერალი, „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 5. სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ბოლნისის რაიონში; 6. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 7. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე ქალი; 9. უბანი, საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 13. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. ძველებური წონის ერთეული საქართველოში უდრიდა 1200 გრამს.

თარაზულად: 1. გემის მდგრადობის გამაწონასწორებელი ტვირთი; 2. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 8. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 10. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 11. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. კერძო მეწარმე სოფლად; 14. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 15. სპილენძის შენადნობი ტყვიასა და კალასთან; 16. უნგრელი კომპოზიტორი პიანისტი; 19. სვან მამაკაცთა ცეკვა; 20. ხელოვნური აბრეშუმი; 21. დაუდუღარი ყურძნის წვენი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა